

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო ბუჭუხიშვილი

უთემისნიშნო ზმნები ზემოიმერულში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე  
ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

გორი

2019

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემა არის „უთემისნიშნო ზმნები ზემოიმერულში“. ზმნის თემა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება ფუძის სახეობას, რომელიც საერთოა I და II სერიის მწკრივთათვის. სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე ზმნის თემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: სხვადასხვა ტიპის ზმნებში მოხდა თემის გართულება, გამარტივება, თემის ნიშანთა მონაცვლეობა. ეს ვითარება საინტერესოდ აისახა ზემოიმერულ მეტყველებაში. ამ საკითხის შესწავლა ზემოიმერულში მრავალ კითხვას აღძრავს და, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შეძლებისდაგვარად გაცემული პასუხები ამ რთულ და საინტერესო საკითხში გარკვეულ სინათლეს შეიტანს.

უთემისნიშნო ზმნების ორი ჯგუფი განვიხილეთ: ერთთემიანები და ფუძედრეკადი ზმნები. ფორმოზრივი განვითარების ტენდენცია ორივე ამ ჯგუფში ერთგვარია – ეს ეხება როგორც აწმყოს ფორმათა წარმოებას, ისე აწმყოსა და უწყვეტლის ფორმათა ურთიერთმიმართებასა თუ I თურმეობითის წარმოებას. ფაქტია: ზემოიმერული მეტყველება ზმნის თემის საკითხის შესწავლაში ძალიან საინტერესო მასალას გვაწვდის. მიღებული დასკვნები შეიძლება მნიშვნელოვანი გამოდგეს ამ საკითხის შესწავლის ისტორიისათვის, ზოგადად, და, კერძოდ, სხვა დიალექტებში მიმდინარე შესაბამის თემასთან დაკავშირებულ მოვლენებთან მიმართებით.

## **Annotation**

The theme of the Master Thesis is „Verbs without theme signs in Zemoimeruli”. The theme of the verb in Georgian literature is called to the type of root, that is common for the rows of the I and II series. In the history of the literary language the verb has undergone significant changes: in different types of verbs the theme was complicated, simplified, there was alternation of the theme signs. This situation was interestingly reflected in Zemoimeruli speech. The study of this issue will raise many questions in Zemoimeruli and we think that the answers will bring some light in this difficult and interesting issue.

We have discussed two groups of verbs without theme signs: one theme verbs and verbs, which change the root. The tendency of form development is similar in these two groups - it refers to the formation of the forms of the present, as well as the relationship between the forms of the present and the continuous, or the production of the I supposed. The fact is: Zemoimeruli speech gives a very interesting material to study the theme of the verb. The obtained conclusions can be important for the history of study this issue, in general, and in particular in relation to the events related to the relevant topic in other dialects.

## შინაარსი

შესავალი-----	5
<b>თავი I. თემის საკითხისათვის ქართულ ზმნაში-----</b>	<b>7</b>
§ I.1. ზმნის ფუძის საკითხისათვის -----	7
§ I.2. თემა, როგორც ფუძის სახეობა -----	13
§ I.3. უთემისნიშნო ზმნები -----	14
§ 1.3.1. ერთთემიანი ზმნები -----	14
§ 1.3.2. ფუძედრეკადი ზმნები -----	23
<b>თავი II. ერთთემიანი ზმნები ზემოიმერულში-----</b>	<b>29</b>
§ II.1. ზემოიმერული მეტყველების რაობისათვის -----	29
§ II.2. ერთთემიანი ზმნები ზემოიმერულში -----	34
§ II.3. ფუძედრეკადი ზმნები ზემოიმერულში -----	41
§ II.4. უწყვეტლის წარმოება უთემისნიშნო ზმნებში -----	44
§ II.5. I თურმეობითის წარმოება უთემისნიშნო ზმნებში -----	51
<b>დასკვნები -----</b>	<b>55</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>58</b>

## შესავალი

ჩვენი თემის მიზანია, განვიხილოთ უთემისნიშნო ზმნები ზემოიმერულში. საკითხით დაინტერესება გამოიწვია სამაგისტრო სალექციო კურსის – „ენის ისტორია და დიალექტოლოგია“ – მოსმენამ. მოგეხსენებათ, თემა ფუძის სახეობაა ზმნაში; სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე ამ სისტემაში საინტერესო ცვლილებები განხორციელდა: ზოგი თემისნიშნიანი ზმნა უთემისნიშნო გახდა; ზოგმა უთემისნიშნო ზმნამ თემის ნიშანი დაირთო; მოხდა თემის ნიშანთა შენაცვლებაც. ამ მოვლენებს აქვთ საერთო კანონზომიერება. ამის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში არის საუბარი (ა. შანიძე, ბ.ჯორბენაძე...); ეს რთული და საინტერესო პროცესი სხვადასხვაგვარად აისახა დიალექტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით თავისებურია ზემოიმერულის ჩვენება (განვმარტავთ: რადგან ზემოიმერული მეტყველება სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდება - დიალექტი, კილოკავი..., ჩვენ ვამჯობინებთ ასე ვიხმაროთ -**ზემოიმერული მეტყველება**. ისე, ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ზემოიმერული მეტყველება იმერული დიალექტის კილოკავად გაიაზრება).

რამდენადაც ზემოიმერული ჩემი მშობლიური კილოკავია, გადავწყვიტე, სწორედ ეს შემერჩია სამაგისტრო თემად.

2018 წლის ზაფხულში გავეცანი სპეციალურ ლიტერატურას (ა. შანიძე, ბ.ჯორბენაძე, ქ. ძოწენიძე, გ. გოგოლაშვილი...) და საანალიზო დაბეჭდილ მასალას. ძირითადად ვსარგებლობდი ქ. ძოწენიძის მონოგრაფიაში (1973) წარმოდგენილი ტექსტებითა და ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია და ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში დაბეჭდილი მასალით (1961). აღმოჩნდა, რომ გამოქვეყნებულ ტექსტებში არ დადასტურდა ჩვენთვის საინტერესო ზოგი ფორმა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ზემოიმერულში, კერძოდ ჭიათურის რაიონში, მოგვეპოვებინა საჭირო საანალიზო მასალა. ვიმუშავეთ ძირითადად სოფლებში: კაცხში, ღვითორში, ქვაცხეში, ხრეთში... ვიწერდით როგორც გაბმულ ტექსტებს, ისე, ძირითადად, გამოკითხვა-ჩაკითხვის წესით ვეძებდით და ვადასტურებდით ჩვენთვის საინტერესო

ფორმებს; ვადგენდით პარადიგმებს. ასე შეიკრიბა საკმაოდ საინტერესო საანალიზო მასალა...

რამდენადაც თემა რთულია, გადავწყვიტეთ, სამაგისტრო ნაშრომში ერთი თავი მიგვეძღვნა თვითონ ზმნის თემის საკითხისათვის. წარმოგვედგინა ის თეორიული პოზიცია, რომელსაც ვემყარებოდით ნაშრომის დამუშავებისას.

უთემისნიშნო ზმნების ორი ჯგუფი შევისწავლეთ – ერთთემიანი ზმნები და ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ზმნები. აღმოჩნდა, რომ ისტორიულ ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებში ერთგვაროვანი პროცესები იჩენს თავს. ეს ნაირგვარი ვარიანტები კანონზომიერ ხასიათს იძენს და საინტერესო შედეგებს გვთავაზობს. რაც ავსახეთ კიდევ დასკვნებში. ვფიქრობთ, რომ ზემოთხსენებულ მასალაზე ჩატარებული ანალიზი საერთოდ ამ საკითხთან დაკავშირებით (ენის ისტორიასა თუ დიალექტებში) პასუხს გასცემს არაერთ კითხვას.

# თავი I. თემის საკითხისათვის ქართულ ზმნაში

## I.1. ზმნის ფუძის საკითხისათვის

ქართულ ენაში დრო-კილოთა სისტემისა თუ ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხებზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, რა არის ფუძე.

სიტყვის რაობის განსაზღვრა და, ასევე, ფუძის (თუ ძირის) დეფინიცია ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემაც არის. ფუძე, როგორც რეალური მონაცემი, ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკებში განიხილებოდა. მიუთითებენ, რომ ყველა განმარტება ფუძისა სწორედ ანტიკურ გრამატიკებში იღებს სათავეს.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ფუძის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „სიტყვის ძირითადი ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა (და ბრუნებისა თუ უღვლილების დროს, ე.ი რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ფორმათა ცვლისას სიტყვაში უცვლელ ნაწილად წარმოგვიდგება)“ (ქეგლ. VII, 1962).

აქ ორ მომენტზეა გამახვილებული ყურადღება: ერთი მხრივ, ფუძესთან დაკავშირებულია საგნობრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, იგი არის საყრდენი ფორმათა სისტემისათვის (ჯორბენაძე, 1980).

სხვა შემთხვევაში ეს განმარტება ზუსტდება: ფუძე არის სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ისეთი ნაწილი, რომელიც მიუთითებს გარკვეულ ობიექტურ მონაცემზე .

ენციკლოპედია „ქართული ენა“ ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ფუძე, სიტყვის (სიტყვა-ფორმის) ნაწილი, რომელიც რჩება დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ და რომელთანაც დაკავშირებულია სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა“ („ქართული ენა“

2008). განმარტების პირველი ნაწილი („დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ“) დაზუსტებას საჭიროებს: რა სახის დაბოლოებაზეა საუბარი: დერივაციულ თუ ფლექსიურ ელემენტზე. დერივაციული ელემენტი ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვას, ფლექსიური არა...

სახელმძღვანელოებსა და სახელმძღვანელოების ტიპის გამოცემებში განსხვავებულად მსჯელობენ სახელისა და ზმნის ფუძეებზე: „სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები ერთვის, ფუძე ჰქვია“ (შანიძე, 1948, გვ.25). იქვე: „ზმნის იმ ნაწილს, რომელიც ლექსიკურ მნიშვნელობას შეიცავს, ფუძე ჰქვია. პირიან ფორმას უნდა ჩამოვაცილოთ პირის, რიცხვისა და მწკრივის ნიშნები და, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე.“ სახელმძღვანელოს ტიპის სხვა გამოცემები ამ განმარტებას იმეორებენ (ძიძიგური, 1956, გვ.116; კიზირია, 1984, გვ.108).

ბ. ჯორბენაძის აზრით, „ფუძე (ფორმოზრივაც და ფუნქციურაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან“ (ჯორბენაძე, 1980, გვ.124). თუ უღლების სისტემაში ურთიერთმიმართებებს განვიხილავთ და ამ კუთხით დავინახავთ ფუძეს, მაშინ აღმოჩნდება, რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (ჯორბენაძე, იქვე, გვ.120). თუკი ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, საყრდენი ფორმათა სისტემისათვის, მაშინ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი და ასეც არის: „ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს“ (იქვე). მაგრამ ზმნურ ფორმათა ანალიზმა მოითხოვა ტერმინოლოგიურადაც განსხვავებულიყო სხვადასხვა ფორმისა თუ ფორმათა სისტემისათვის გამოყენებული ფუძე და შემოვიდა პირობითი ტერმინები: **ფუძე** (=მწკრივის ფუძეს), **თემა** (=სერიის ფუძეს), და **ძირი** (=სრული პარადიგმის ფუძეს). მწკრივის ფუძე იმდენია, რამდენი მწკრივიც გამოიყოფა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენი მწკრივის ფუძეც გამოიყოფა, იმდენი მწკრივია.



მართალია, ფუძე განიხილება როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, მაგრამ ყოველ მოცემულ სტრუქტურაში სტრუქტურული ელემენტების მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია.

და კიდევ, „ყველაფერი ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს“ (ჯორბენაძე, 1980).

თუ ვსაუბრობთ მწკრივის ფუძეზე, ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ ფუძესთან მიმართებაში განსხვავებულად აღიქმება ზმნისწინის საკითხი – შედის თუ არა ზმნისწინი ფუძეში. გ. გოგოლაშვილის აზრით, ზმნისწინი ისევე არ უნდა შევიდეს მწკრივის ფუძეში, როგორც პირისა და რიცხვის ნიშნები (გოგოლაშვილი, 2010, გვ.148). აქედან გამომდინარე, მწკრივის ფუძედ განიშარტება ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელსაც ჩამოშორდება ზმნისწინი, პირისა და რიცხის ნიშნები:

აწმყო:

ვ-აკეთ-ებ	ვ-აკეთ-ებ-თ
აკეთ-ებ	აკეთ-ებ-თ
აკეთ-ებ-ს	აკეთ-ებ-ენ

წარმოდგენილი მწკრივის ფუძე იქნება აკეთ-ებ.

უწყვეტელი:

ვ-რეცხ-ავ-დ-ი	ვ-რეცხ-ავ-დ-ი-თ
რეცხ-ავ-დ-ი	რეცხ-ავ-დ-ი-თ
რეცხ-ავ-დ-ა	რეცხ-ავ-დ-ნენ

უწყვეტლის მწკრივის ფუძე იქნება რეცხ-ავ-დ.

წყვეტილი:

და-ვ-ჰეცხ	და-ვ-ჰეცხ-თ
-----------	-------------

და-კეცე

და-კეცე-თ

და-კეცე-ა

და-კეცე-ეს

მოცემული მწკრივის ფუძე იქნება **კეცე** (სრული ვარიანტი) **კეც** (არასრული ვარიანტი); სრულ და არასრულ ვარიანტებს ფუძისას განასხვავებს მოქმედი ფონეტიკური პროცესი: მოქმედი ფონეტიკური პროცესის შედეგად შეიძლება დაიკარგოს როგორც მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ხმოვნითი ელემენტი, ისე ძირეული მორფემის ხმოვნითი ელემენტი.

I თურმეობითი:

და-მ-ი-თეს-ავ-ს

და-გვ-ი-თეს-ავ-ს

და-გ-ი-თეს-ავ-ს

და-გ-ი-თეს-ავ-თ

და-უ-თეს-ავ-ს

და-უ-თეს-ავ-თ

I თურმეობითის მწკრივის ფუძე იქნება **თეს-ავ** და ა.შ.

ამ თვალსაზრისით როგორც ითქვა, იმდენი ფუძე გვექნება ზმნისა, რამდენი მწკრივიც გვაქვს.

როგორც ვნახეთ, საკუთარი ფუძის მქონეობა ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მწკრივისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა მწკრივს საკუთარი ფუძე აქვს.

თუ ვსაუბრობთ სერიის ფორმათა წარმოებაზე, ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო იქნება ერთ სერიაში შემავალ ზმნურ ფორმათათვის, იქნება სერიის ფუძე. ამგვარი ფუძის აღსანიშნავად ა.შანიძემ შემოიღო ტერმინი **თემა**. მისი აზრით, **ზმნის თემა არის ის ნაწილი ზმნისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის (პირველი ან მეორე) ფორმათათვის** (შანიძე, 1973, გვ.387). შესაბამისად, შეიძლება ზმნას პირველ სერიაში სხვა ფუძე (თემა) ჰქონდეს და მეორე სერიაში – სხვა (ა. შანიძის მიხედვით-ორთემიანი ზმნები). სერიის ფუძის (თემის) საკითხი მესამე სერიისათვის განსხვავებულად დადგება.

I სერია

აწმყო:

ვ-აკეთებ

ვ-აკეთებ-თ

აკეთებ

აკეთებ-თ

აკეთებ-ს

აკეთებ-ენ

უწყვეტელი:

ვ-აკეთებ-დ-ი

ვ-აკეთებ-დ-ი-თ

აკეთებ-დ-ი

აკეთებ-დ-ი-თ

აკეთებ-დ-ა

აკეთებ-დ-ნენ

აწმყოს კავში:

ვ-აკეთებ-დ-ე

ვ-აკეთებ-დ-ე-თ

აკეთებ-დ-ე

აკეთებ-დ-ე-თ

აკეთებ-დ-ეს

აკეთებ-დ-ნენ

მყოფადი:

გა-ვ-აკეთებ

გა-ვ-აკეთებ-თ

გა-აკეთებ

გა-აკეთებ-თ

გა-აკეთებ-ს

გა-აკეთებ-ენ

ხოლმეობითი:

გა-ვ-აკეთებ-დ-ი

გა-ვ-აკეთებ-დ-ი-თ

გა-აკეთებ-დ-ი

გა-აკეთებ-დ-ი-თ

გა-აკეთებ-დ-ა

გა-აკეთებ-დ-ნენ

მყოფადის კავში:

გა-ვ-აკეთებ-დ-ე	გა-ვ-აკეთებ-დ-ე-თ
გა-აკეთებ-დ-ე	გა-აკეთებ-დ-ე-თ
გა-აკეთებ-დ-ეს	გა-აკეთებ-დ-ნენ

ჩვენ წარმოვადგინეთ I სერიის ყველა ფორმა. ამ ფორმათათვის საერთო ნაწილი არის **აკეთებ**; შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში I სერიის ფუძე (ანუ თემა) იქნება **აკეთებ**.

II სერია

წყვეტილი:

გა-ვ-აკეთ-ე	გა-ვ-აკეთ-ე-თ
გა-აკეთ-ე	გა-აკეთ-ე-თ
გა-აკეთ-ა	გა-აკეთ-ეს

ამ შემთხვევაში -ე სუფიქსი მწკრივის ნიშნად მოიაზრება. მწკრივის საყრდენი ფუძე იქნება **აკეთ**, რომელსაც დაერთვის მწკრივის მაწარმოებელი. იგივე საყრდენი ფუძე ექნება II კავშირებითსაც.

II კავში:

გა-ვ-აკეთ-ო	გა-ვ-აკეთ-ო-თ
გა-აკეთ-ო	გა-აკეთ-ო-თ
გა-აკეთ-ო-ს	გა-აკეთ-ო-ნ

მეორე სერიის ფორმათათვის საერთო ფორმოზრივი ნაწილია **აკეთ**. შესაბამისად II სერიის ფუძე (ანუ თემა) იქნება **აკეთ**. და ა.შ

## I.2. თემა, როგორც ფუძის სახეობა

ზემოწარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **თემა ჰქვია ზმნის ბაზისს, რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა, ე.ი რომელიც საერთოა I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმისათვის.** თემა ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში ( შანიძე, 1973, გვ.387).

მორფოლოგიური თვალსაზრისით, რომელსაც აგრეთვე მხარს უჭერს სინტაქსური თავისებურებანი გარდამავალი ზმნებისა, ყველა მწკრივის ფორმები იყოფა სამ ჯგუფად, რომელთაც სერიებს ვეძახით. ზმნას პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში საზოგადოდ სხვადასხვა თემა აქვს, რაც შეეხება მესამე სერიას, აქ ზმნას განსაკუთრებული თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ ან პირველი სერიის თემას იყენებს (უფრო ხშირად), ან – მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში (ჩიქობავა, 1962). ამიტომ თემათა მიმოხილვისას მხედველობაში გვაქვს პირველი ორი სერიის ფორმები.

ისევ დავსვათ კითხვა: რა არის თემა? – ტერმინისა თუ შესაბამისი ცნების დამკვიდრება ქართულ გრამატიკაში ა. შანიძის დამსახურებაა.

მოვიყვანოთ ამონარიდს 1930 წლის გრამატიკიდან: „პირიელი ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. **თემა ჰქვია უცვალეზელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში.** ე.ი რომლის დაპირისპირებითაც ცვალეზადია პ ი რ ი ს ა, რ ი ც ხ ვ ი ს ა, ქ ც ე ვ ი ს ა, დ რ ო ი ს ა და კ ი ლ ო ს ნ ი შ ნ ე ბ ი (ხაზი ჩვენია). თემათა სხვადასხვაობა საფუძველად უდევს დრო-კილოთა ორ სერიად დაყოფას ქართულში ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის მორფოლოგიურადაც“ ( შანიძე, 1930).

### I.3. უთემისნიშნო ზმნები

#### I.3.1 ერთთემიანი ზმნები

როგორც ვთქვით, აკაკი შანიძის დამსახურებაა ქართულში ტერმინებისა და შესაბამისი ცნებების – **ზმნის თემა, თემის ნიშანი** – დამკვიდრება.

ვიცით, თემა ფუძის ნაირსახეობაა. რამდენადაც ზმნის სისტემაში ფუძის საკითხი რთული და პრობლემურია, იმდენად რთული და პრობლემურია თემის საკითხიც. ჩვენ ფუძეს განვიხილავთ, როგორც **პერმანენტულად ცვლად მონაცემს, საყრდენს ფორმათა სისტემისათვის**.

ა. შანიძის მიერ თემად განიხილება ზმნური ფუძის ნაირსახეობა, რომელიც საყრდენია I ან II სერიის ფორმათათვის. შესაბამისად, გვაქვს I სერიის თემა და II სერიის თემა. ა. შანიძის თეორიის მიხედვით არსებობს **რთული თემა და მარტივი თემა**; შესაბამისად, ზმნები შეიძლება იყოს **ერთთემიანი და ორთემიანი**.

თუ I სერიის თემა განსხვავებულია II სერიის თემისაგან, ასეთ ზმნებს ორთემიანებად განვიხილავთ. **თუ I და II სერიის თემა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასეთ ზმნებს ერთთემიანებს ვუწოდებთ**. მაგალითად:

#### I სერია

აწმყო-მყოფადი: (გა-)ა-კეთ-ებ-ს, (და-)ხატ-ავ-ს, (და-)დგ-ამ-ს, (და-)თმ-ობ-ს...

უწყვეტელ-ხოლმეობითი: (გა-)ა-კეთ-ებ-და, (და-)ხატ-ავ-და, (და-)დგ-ამ-და, (და-)თმ-ობ-და...

I კავშირებითი: (გა-)ა-კეთ-ებ-დეს, (და-)ხატ-ავ-დეს, (და-)დგ-ამ-დეს, (და-)თმ-ობ-დეს...

## II სერია

წყვეტილი: (გა-)ა-კეთ-ა, (და-)ხატ-ა, (და-)დგ-ა, (და-)თმ-ო...

II კავშირებითი: (გა-)ა-კეთ-ოს, (და-)ხატ-ოს, (და-)დგ-ას, (და-)თმ-ოს...

წარმოდგენილ ზმნებში I სერიის თემაა: **კეთ-ებ, ხატ-ავ, დგ-ამ, თმ-ობ...** II სერიის თემაა: **კეთ, ხატ, დგ, თმ...** ე.ი სხვაობა აშკარაა. ამგვარ ზმნებს ვუწოდებთ ორთემიანებს. როგორც ვხედავთ, I სერიის თემა II-სთან შედარებით რთულია; ასეც ვუწოდებთ: **რთული თემა და მარტივი თემა.**

ის ელემენტი **ზმნური ფორმისა, რომელიც განასხვავებს რთულ თემას მარტივისაგან, იწოდება თემის ნიშნად.** ამ შემთხვევაში თემის ნიშნებია **-ებ, -ავ, -ამ, -ობ;** სხვა შემთხვევაში თემის ნიშნად შეიძლება იქნეს განხილული **-ემ** (მი-ს-ც-ემ-ს); **-ევ** (ი-ნგრ-ევ-ა); **ვ-ებ** (ი-ხნ-ვებ-ა > იხვნება); **-მ-ებ** (ი-დგ-მებ-ა); თუმცა **-ი** ელემენტს (ვ-ზრდ-ი) თემის ნიშნად არ განიხილავენ (გოგოლაშვილი, 2010). თემის ნიშნებად გაიაზრება **ვ-ებ, მ-ებ** ვნებითი გვარის ზმნებში (ი-დგ-მ-ებ-ა, ირთ-ვ-ებ-ა). ამგვარი დაბოლოებები რთული თემის ნიშნებად იწოდება (იქვე).

რთული თემის ნიშნები (ვ-ებ, მ-ებ) ძველი ქართულისათვის არაა დამახასიათებელი, ახალი ქართულის ფაქტია (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016, გვ.300).

თემისა და თემის ნიშნის საკითხი განიხილება, როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. ერთი შეხედვით ვითარება ერთგვაროვანია.

საერთოდ, თემის ნიშანი განიხილება ფუძის მაწარმოებელ ელემენტად. არ საუბრობენ მის ფორმაწარმოებით ფუნქციაზე. ა. შანიძე როცა მსჯელობს თემის ნიშანზე, როგორც I და II სერიის ფორმათა განმასხვავებელ ელემენტზე, არ საუბრობს თემის ნიშნის მორფოლოგიურ ფუნქციაზე. თემა მისთვის მორფოლოგიური ცნება არ არის. თუმცა ფაქტია, რომ ეს არ არის ფუძესთან შეხორცებული ელემენტები (როგორც სახელებში დეტერმინანტი სუფიქსი). მას „მორფოლოგიური ქცევა“ ახასიათებს. თავს იჩენს ერთი ჯგუფის ფორმებთან, არ გვაქვს მეორე ჯგუფის ფორმებთან. ერთი

შეხედვით ეს არის მორფოლოგიური ელემენტი, რომელიც მკვეთრად განსაზღვრულ ფორმებთან გვაქვს, სხვა ფორმებთან – არა... ვერ ვხედავთ მის მორფოლოგიურ ფუნქციას – რთულია ამოცნობა ამ ფუნქციისა... (გოგოლაშვილი, 2010).

სპეციალისტების აზრით, პრინციპულია ის ფაქტი, რომ არის საინტერესო განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის. ძველ ქართულში I სერიის რთულთემიანი ფორმები (ზმნისწინიც და უზმნისწინოც) უსრული ასპექტისაა, III სერიის ფორმები (ზმნისწინიც და უზმნისწინოც) სრული ასპექტისაა (შანიძე, 1976). ასპექტი თუ მორფოლოგიური კატეგორიაა, ძველი ქართულისათვის ერთადერთ განმასხვავებლად თემის ნიშანი გვევლინება. ანუ: თემის ნიშანი აქვს უსრული ასპექტის ფორმებს, არა აქვს სრული ასპექტის ფორმებს.

როცა თემაზე ვსაუბრობთ (ჩვენი სამაგისტრო თემის საგანი სწორედ მარტივთემიანი ზმნებია), ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. სხვაგვარად გაგვიჭირდება ჩვენთვის საინტერესო საკითხში გარკვევა.

რა მოხდა ახალ ქართულში? რა არსებითი ხასიათის ცვლილებები განხორციელდა, რომლებიც დიალექტებშიც აისახა?

ახალ ქართულში ასპექტი ზმნისწინს დაუკავშირდა, ძველი ქართულისებურად სერიები ასპექტის მიხედვით აღარ უპირისპირდება ერთმანეთს... დაპირისპირება სრული/უსრული გვაქვს როგორც I, ისე II სერიაში.

არადა, რთული და მარტივი თემების დაპირისპირება ძველი ქართულისებურია: I სერიის მწკრივები რთულთემიანია, II სერიისა – მარტივთემიანი.

მაგრამ შეიმჩნევა ერთი პრინციპული ხასიათის ცვლილება. ახალ ქართულში მოხდა თემის ნიშანთა მონაცვლეობა. ეს შეეხო სამივე გვარის ზმნას.

მოქმედებითი გვარის ზმნებში:

თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხზე ვმსჯელობთ „ახალი ქართული ენის“ მეორე ტომის მიხედვით (გოგოლაშვილი, არაბული, 2016).

ა) -ებ თემისნიშნისანი ზმნები გახდა უნიშნო



ალა-დგინ-ებ-ს – ალა-დგენ-ს

წარა-ვლინ-ებ-ს – წარა-ვლენ-ს

შეს-ძინ-ებ-ს – შეს-ძენ-ს და მისთ.

ბ) -ებ თემის ნიშანს ენაცვლება -ავ

გან-კურნ-ებ-ს – გან-კურნ-ავ-ს

ალჰ-მართ-ებ-ს – აღ-მართ-ავ-ს

განუ-მარტ-ებ-ს – განუ-მარტ-ავ-ს

გ) უთემისნიშნო ზმნა ხდება თემისნიშნიანი

ვ-თიბ – ვ-თიბ-ავ

ვ-თეს – ვ-თეს-ავ

ვ-ჩეჩ – ვ-ჩეჩ-ავ და მისთ.

დ) -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითის ფორმებში ავ( > ვ) და ამ ( > მ) თემის ნიშნებს ენაცვლება (ან ემატება) -ებ

მალ-ავ-ს – ი-მალ-ვ-ის > ი-მალ-ებ-ა

ხატ-ავ-ს – ი-ხატ-ვ-ის > ი-ხატ-ებ-ა

კლ-ავ-ს – ი-კლ-ვ-ის > ი-კვლ-ებ-ა

დგ-ამ-ს – ი-დგ-მ-ის > ი-დგ-მ-ებ-ა

ეს სისტემური ცვლილებებია. დაპირისპირება რთული და მარტივი თემისა რჩება, ხდება მონაცვლეობა თემის ნიშნებისა. ეს იმდენადაა ჩვენთვის საინტერესო, რომ დიალექტში ხშირად არ ხორციელდება ის ცვლილება, რაც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში. მაგ. ზემოიმერულში -ებ თემის ნიშანი III სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვშია შემორჩენილი: წავიყვანთ/წაიყვანთ/წაიყვანებენ (ძოწენიძე, 1973).

როგორც ვთქვით, გამოყოფენ ერთთემიან და ორთემიან ზმნებს:

ერთთემიანია ზმნა, რომელსაც პირველისა და მეორე სერიის ფორმები ერთსა და იმავე ბაზისზე აქვს დაყრდნობილი.

ორთემიანია ზმნა, რომელსაც პირველსა და მეორე სერიაში განსხვავებული თემები მოეპოვება.

თუ რამდენ თემიანია ზმნა, ამას არკვევს დაპირისპირება, ერთი მხრით, აწმყოს ან მოყოფადის ფორმისა II სერიის რომელიმე მწკრივის (მაგ. წყვეტილის) ფორმასთან, რომელსამე სუბიექტურ პირში, ვთქვათ, პირველში. მაგ:

I სერია	II სერია	
აწმყო	წყვეტილი	II კავშირებითი
ვ-წერ	ვ-წერ-ე	ვ-წერ-ო
ვ-ჭამ	ვ-ჭამ-ე	ვ-ჭამ-ო
ვ-გრეხ	ვ-გრეხ-ე	ვ-გრეხ-ო
ვ-თლ-ი	ვ-თალ-ე	ვ-თალ-ო
ვ-ხატ-ავ	ვ-ხატ-ე	ვ-ხატ-ო
ვ-სვ-ამ	ვ-სვ-ი	ვ-სვ-ა
ვ-ბრძან-ებ	ვ-ბრძან-ე	ვ-ბრძან-ო
ვა-პ-ობ	ვა-პ-ე	ვა-პ-ო

მოყვანილ მაგალითთაგან პირველი ორი ზმნა ერთთემიანია (მათი თემებია წერ და ჭამ ორსავე სერიაში), დანარჩენები კი ყველა ორთემიანია, რადგანაც მათ სხვადასხვა თემა აქვთ I-სა და II სერიაში. ერთ მათგანს სხვადასხვა თემა ხმოვნის შენაცვლებით აქვს ნაწარმოები (გრეხ-გრეხ), სხვებს კი მარტივ თემაზე დართული აქვს სხვადასხვა

მაწარმოებლები თემის ნიშნები: -ი (თალ – თლ-ი), -ავ (ხატ – ხატ-ავ), -ამ (სვ – სვ-ამ), -ებ (ბრძან – ბრძან-ებ) და -ობ (პ – პ-ობ).

ზმნები, რომლებიც არ დაირთავენ თემის ნიშანს, შეიძლება იყოს ერთთემიანიც და ორთემიანიც. ის უთემისნიშნო ზმნები, რომლებსაც ფუძედრეკადებს (ხმოვანმონაცვლეებს) ვეძახით, ორთემიანია:

აწმყო: ვ-დრეკ

უწყვეტილი: ვ-დრეკ-დ-ი

აწმყოს კავშირებითი: ვ-დრეკ-დ-ე

თემა არის დრეკ

წყვეტილი: ვ-დრიკ-ე

II კავშირებითი: ვ-დრიკ-ო

თემა არის დრიკ

ეს ხმოვანმონაცვლეობა (ე-ი) მორფოლოგიური ღირებულებებისაა, ამიტომ ამგვარ ზმნებს ორთემიანებად მივიჩნევთ (შანიძე, 1973).

ანუ აქ არ ხდება დაპირისპირება მარტივ და რთულ თემებს შორის (შდრ: კეთ-ებ – კეთ...); დანარჩენი ორთემიანი ზმნებისგან ფუძედრეკადებს უთემისნიშნობა განასხვავებს, რაც მათ აახლოებს ერთთემიან ზმნებთან.

მცირეა რიცხვი ისეთი ზმნებისა, რომელთაც ერთი და იგივე თემა აქვთ მწკრივთა ორსავე სერიაში. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ აკაკი შანიძე რამდენიმე ათეულ ერთთემიან ზმნას გამოყოფს ქართულში (შანიძე, 1973, გვ.389). ასეთებია, მაგალითად, წერ, ჭამ, ტეხ, რეცხ... მართლაც, თუ ამ ფუძეთაგან აწმყოს ვაწარმოებთ და პირისპირ წყვეტილს დავუყენებთ, გვექნება: ვ-წერ – ვ-წერ-ე; ვ-ჭამ – ვ-ჭამ-ე; ვ-ტეხ – ვ-ტეხ-ე; ვ-რეცხ – ვ-რეცხ-ე, ხოლო, თუ მეორე კავშირებითს მივუყენებთ გვერდით, მივიღებთ: ვ-წერ – ვ-წერ-ო; ვ-ჭამ – ვ-ჭამ-ო; ვ-ტეხ – ვ-ტეხ-ო;

ვ-რეცხ – ვ-რეცხ-ო. აქედან ცხადია, რომ ამ ზმნებს პირველ სერიაშიც იგივე თემა აქვთ, რაც მეორეში.

გვხვდება უმთავრესად შემდეგი ერთთემიანი ზმნები:

ვჰ-ბან (ვი-ბან)	ვ-ხეთქ
ვ-ბერტყ	ვ-ხეხ
ვ-თიბ	ვ-ხვეტ
ვ-თეს	ვი-ხვეჭ
ვ-თელ	ვ-ხეჩ
ვ-რაცხ	ვი-ქმ, ვიქ (ვი-ქმნ)
ვ-რეცხ	ვ-ქსოვ
ვ-ტეხ	ვ-ქექ
ვჰ-ფხან	ვ-ღებ
ვს-თხოვ	ვ-ღობ
ვ-ჰეც	მოვი-ყვან
ვ-ჰვეთ	ვ-ჩეჩ
ვ-ჰვეც	ვ-ჩეხ
ვ-ჰვეხ, ვი-ჰვეხ	ვ-ძახ
ვ-ღეს	ვ-ძოვ
ვ-ღეწ	ვ-წერ
ვი-მღერ	ვს-წოვ
ვ-ნაყ	ვ-ჭამ

ვ-პენტ

ვ-ჭედ

ვ-რეკ

ვი-ხმარ

ვ-ხოც

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ჩამოთვლილი ზმნების უმეტესობას დაერთო -ავ და ისინი ორთემიანებში გადავიდნენ: ვ-თიბ-ავ, ვ-თეს-ავ, ვ-ჩეჩ-ავ, ვ-ხოც-ავ, ვ-რეკ-ავ, ვ-რეცხ-ავ, ვ-ქექ-ავ, ვ-პენტ-ავ, ვ-ნაყ-ავ, ვ-კეც-ავ, ვ-ლეს-ავ, ვ-ბერტყ-ავ და სხვა (შანიძე, 1973, გვ.389).

ერთთემიანობა შერჩა რამდენიმე მათგანს: ვჰბან, ვტეხ, ვწერ, ვჰამ, ვიხმარ, მოვიტან, მოვიყვან, მოვჰფხან და ყველა ოვიანს: ვსთხოვ, ვქსოვ, ვძოვ, ვწოვ (იქვე, გვ.390).

ერთთემიან ზმნათა ორთემიანად გადაქცევა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი ჩანს. რთული იმდენად, რამდენადაც ამ პროცესის ცალკე განხილვა არ შეიძლება: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მანძილზე თემის ნიშანთა მონაცვლეობა და ფუძედრეკად ზმნებზე თემის ნიშნის დართვა ერთ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული პროცესის მიზანი და შედეგი ერთი ჩანს... მეტიც, ის სიჭრელე და მრავალფეროვნება თემის ნიშანთა გამოყენებაში, რაც დიალექტებში ხდება, იმავე კონტექსტიდანაა (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016, გვ.309).

სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულთაგან რამდენიმე ზმნა ერთთემიანია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში (დიალექტების ჩათვლით): ვ-თხოვ, ვ-ქსოვ, ვ-ძოვ, ვ-წოვ, ვ-ჰამ....

რამდენიმე ზმნა დიალექტებში -ებ თემის ნიშანს დაირთავს მხოლოდ აწმყოს III პირის მრავლობით რიცხვში, ეს პროცესი განსაკუთრებით ხელშესახებია ჩვენს დიალექტში – ზემოიმერულში, თუმცა სხვაგანაც შეიძლება იჩინოს თავი:

I. მევი-ტან      მევი-ტან-თ

II. მეი-ტან      მეი-ტან-თ

### III. მეი-ტან-ს მეი-ტან-ებ-ენ

ასევე: მეი-ყვან-ს და მეი-ყვან-ებ-ენ, მეი-ხმარ-ს და მეი-ხმარ-ებ-ენ...  
დასტურდება ვ-მღერ-ობ ფორმაც (მოწენიძე, 1973; გოგოლაშვილი 2010).

ქართულში არის ტენდენცია, ერთთემიანი ზმნები გახდნენ ორთემიანები; ძირითადად -ავ თემის ნიშანს დაირთავენ და -ავ თემისნიშნიანთა რიგებში გადაირიცხნენ (შანიძე, 1973).

ამ შემთხვევაში ხშირია ფორმათა პარალელიზმი: ე.ი გვერდიგვერდ თანაარსებობს უთემისნიშნო და -ავ თემისნიშნიანი ფორმები. ეს ხდება როგორც სალიტერატურო ენაში. ისე სასაუბრო მეტყველებაში (კვეცავ-ს//კვეც-ს, ბერტყავ-ს//ბერტყ-ს, ლეწავ-ს//ლეწ-ს...). წესის დადგენა არ ხერხდება: რა შემთხვევაში რჩება ერთთემიანად და რა შემთხვევაში ხდება ორთემიანი. ამიტომაც ორთოგრაფიული ლექსიკონი ძირითადად თემისნიშნიან ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად (ბერტყავ-ს, თელავ-ს, თესავ-ს, თიბავ-ს, კეცავ-ს...). უთემისნიშნო ვარიანტებს გვთავაზობს ნორმად ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც პარალელიზმი აშკარაა: კვეთ-ს//კვეთავ-ს, კვეც-ს//კვეცავ-ს, ჩეჩ-ს//ჩეჩავ-ს, ჩეხ-ს//ჩეხავ-ს, იხვეჭ-ს//იხვეჭავ-ს... ამიტომაც: ბერტყ-ს, თეს-ს, თიბ-ს... – დიალექტიზმებად გაიაზრება ისევე, როგორც – კვეთავ-ს, კვეცავ-ს, ჩეჩავ-ს, ჩეხავ-ს... (თოფურია, გიგინეიშვილი, 1968).

როცა სალიტერატურო ქართულში არის ასეთი პარალელური ფორმები, ცხადია, დიალექტებში უფრო რთული მდგომარეობა იქნება.

ე.წ ერთთემიან ზმნათა ვითარება არაერთგვაროვანია დიალექტებში.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ძლიერია ტენდენცია ერთთემიანთა გაორთემიანებისა. ისტორიულად უთემისნიშნო ზმნები სისტემურად -ავ (მონაცვლეობით -ამ) თემის ნიშანს დაირთავს. ქართლურსა და კახურში, ასევე ინგილოურში, თემისნიშნიანია არა მარტო ის ზმნები, რომლებიც სალიტერატურო ენაში -ავ თემის ნიშანს დაირთავს (თესავ-ს, თიბავ-ს, ბერტყავ-ს, თელავ-ს...). არამედ ისინიც, რომელთა უთემისნიშნობაც ნორმადაა მიჩნეული თანამედროვე ქართულში (კვეთავ-ს, კვეცავ-ს, ჩეჩავ-ს, ხეჩავ-ს (ჩეხავ-ს)... უფრო მეტიც, ამ დიალექტებში არის

ტენდენცია, თემის ნიშანი დაირთოს ისეთმა ზმნებმაც, როგორებიცაა წერ-ავ/-ამ-ს, ყეფ-ავ/-ამ-ს, უსმენ-ავ-ს, ფენ-ავ/-ამ-ს, ზან-ავ-ს (=ზანს), ფხან-ავ-ს... ამ თვალსაზრისით უნიფიკაციის ტენდენცია იჩენს თავს მესხურში (ბერიძე, 1980).

თავდაპირველი სახით არის დაცული უთემისნიშნო ზმნები თუშურში, მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში: ბერტყ-ს, თიბ-ს, ჯოც-ს, ჩეჩ-ს, ლეწ-ს, კვეც-ს..... (გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016, გვ.311).

არქაული ვითარებაა დაცული განსახილველი ტიპის ზმნებთან რაჭულში, გურულსა და აჭარულში, თუმცა ამას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამ დიალექტებში ერთი მხრივ, გვაქვს ერთთემიანი ვარიანტები (რეცხ-ს, დარეკ-ს, თიბ-ს, ნაყ-ს, ხოც-ს, ხვეტ-ს, ჩეხ-ს....), მეორე მხრივ პარალელური ორთემიანი ვარიანტები (რეცხ-ავ-ს, რეკ-ავ-ს, თიბ-ავ-ს...) და სხვა (იქვე გვ.311).

### I.3.2. ფუძედრეკადი ზმნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უთემისნიშნოა კიდევ ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელსაც ფუძედრეკადებს, ანუ ხმოვანმონაცვლე ზმნებს ვუწოდებთ. ამ ჯგუფის ზმნებს, მწკრივთა ორსავე სერიაში მარტივი თემები მოეპოვებათ, თუმცა ეს ზმნები ითვლება ორთემიანად, რადგანაც განსხვავება I და II სერიის თემებს შორის შინაგანი ხმოვნის შენაცვლებაზე აქვს დამყარებული. ეს შენაცვლება (ალტერნაცია) ყოველთვის ერთი ტიპისაა: პირველ სერიაში რომ ე არის, მეორეშია ი (ე-ი). მაგალითად, ვ-გრეხ და ვ-გრიხ-ე (ან ვ-გრიხ-ო), ვ-წყვეტ და ვ-წყვიტ-ე (ან ვ-წყვიტ-ო), ვ-გლეჯ და ვ-გლიჯ-ე (ან ვ-გლიჯ-ო) და მისთ. (შანიძე, 1973, გვ.390).

გვაქვს შემდეგი ხმოვანმონაცვლე ზმნები: (მოგვყავს ა.შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებიდან“).

ბზეკ-ა (გააბზიკა, კუდა-ბზიკა)

ბლენძ-ა

ბრექ-ა	ბლვერ-ა
ბნედ-ა	ბღნეჯ-ა
ბრემ-ა	გლეს-ა
გლეჯ-ა	ღრეც-ა
გმერ-ა	ღრეჯ-ა
გრეხ-ა	მზერ-ა
დრეკ-ა	მრეზ-ა („ავიმზირე)
ლევ-ა (დალევკა, წალევკა)	მხელ-ა, გა-მხელ-ა
ლექ-ა	ჟლექ-ა
დღვებ-ა	ჟღენტ-ა
დღღეზ-ა	ჟღღემ-ა (გურ.=სრესა)
ზელ-ა	სვრემ-ა
ზნექ-ა	სრეს-ა
თვლემ-ა	სხეპ-ა
თქვეფ-ა	სხლექ-ა
კვნექ-ა	ტვლემ-ა
კმენდ-ა, გა-კმენდ-ა (ხმისა)	ტკვერ-ა
კრებ-ა	ტლეკ-ა
კრეფ-ა	ტყეპ-ა
კრექ-ა (თავისა, ცხვრისა)	ტყლემ-ა
კრექ-ა (კბილებისა)	ფლეთ-ა, ფლერთ-ა



კრეხ-ა	ფხეკ-ა
ღლეტ-ა	ფშეკ-ა
ღმეჭ-ა	ფშვნეტ-ა
ფხლეწ-ა, ფხრეწ-ა	წნეხ-ა
ქლეშ-ა	წყვედ-ა, წყვეტ-ა
ქრეჯ-ა (ხევს.=მიზაძვა ხმაში)	წყმედ-ა, წყმენდ-ა
ღვრემ-ა (დაიღვრიმა)	ჭერ-ა (და-ჭერ-ა)
ყვლეფ-ა	ჭერეთ-ა (ხევს.=ჩვრეტა)
შვერ-ა	ჭვრეტ-ა
შვლეპ-ა	ჭრეხ-ა (=შლა)
შვლეჭ-ა („იშვლიჭა ხმალი“)	ჭყეტ-ა
შრეტ-ა	ჭყერპ-ა (=წყლით გაიბერა)
ჩვრეტ-ა	ჭყლეთ-ა
ჩქეფ-ა, ჩქვეფ-ა	ხელ-ა (თვალისა, ახელს)
ჩხვლეთ-ა	ხვრეპ-ა
ჩხრეკ-ა	ხვრეტ-ა
ცვეთ-ა	ხლეჩ-ა
ცრეც-ა	ხრენჯ-ა
ცქერ-ა	ხრეკ-ა
ცქვეტ-ა	ხრემ-ა, გა-ხრემ-ა
წმენდ-ა, წმედ-ა	

მოყვანილ ზმნათაგან უნდა გამოიყოს ზოგიერთი ეტ დაბოლოებიანი ზმნა, რადგანაც ამ ზმნებში ეს ეტ ისტორიული მაწარმოებელი ჩანს, როგორც ეს პირველად ნ. მარმა აღნიშნა, მაგრამ მოვლენას სათანადო ადგილი ვერ მიუჩინა გრამატიკაში (შანიძე, 1973, გვ.391).

ეტ მაწარმოებელი ელემენტია, ეს ნათლად ჩანს ზოგიერთ ზმნაში, რადგანაც მათ პირისპირ მოიპოვება სხვა ფორმები, რომლებიც ახლოს დგანან მათთან მნიშვნელობით, მაგრამ ეტ სუფიქსი არ გააჩნიათ. ასეთებია:

შრ-ეტ-ს და ა-შრ-ობ-ს. „შრეტა“ ძველად ქრობას აღნიშნავდა, მაგრამ იგი შრობის მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ფშვნ-ეტ-ს და ფშვნ-ი-ს

უ-ჭვრ-ეტ-ს და ჭვირ-ს

კვრ-ეტ-ს და კვრ-ელ-ი

ნათლად არ ჩანს, რომ -ეტ სხვა ზმნებშიც მაწარმოებელი იყოს; (ჟლეტა, სხლეტა, ღლეტა, წრეტა, ჩხვლეტა, ჩვრეტა, ცქვეტა, ჭყეტა, ჭყლეტა, თუმცა ზოგიერთ მათგანს იმავე ნ. მარმა საპირისპირო ფორმებიც უჩვენა: წრ-ეტ-ა და წურ-ა; სხლ-ეტ-ა და სხლ-ვა (გასხვლა, ტოტების გაცლა); კვნ-ეტ-ა და კბენ-ა (შანიძე, 1973, გვ.392).

ხმოვანმონაცვლე მარტივთემიანი ზმნები, ისევე როგორც უთემისნიშნო ერთთემიანი ზმნები, იჩენენ ტენდენციას, გახდნენ რთულთემიანები. ამ შემთხვევაშიც -ავ თემისნიშნის გამოიყენებენ. თემის ნიშნის დართვა ხდება ერთ შემთხვევაში I სერიის თემაზე:

გლეჯ-ს – გლეჯ-ავ-ს

დრეკ-ს – დრეკ-ავ-ს

გრეხ-ს – გრეხ-ავ-ს...

თუმცა უმეტეს შემთხვევაში -ავ თემის ნიშანი დაერთვის II სერიის თემას (ი ხმოვნის ვარიანტს) ამ გზით მივიღეთ პარალელური ფორმები:

ვჩხვლეთ და ვჩხვლიტავ

ვჭყლეთ და ვჭყლიტავ

ვყვლეთ და ვყვლიფავ

ვწმენდ და ვწმინდავ

ვჩხრეკ და ვჩხრიკავ

ვხვრეთ და ვხვრიტავ

ვჟღენტ და ვჟღინთავ

ვჟლეთ და ვჟლიტავ

ვგლეს და ვგლისავ

ვგმერ და ვგმირავ

ვგრეხ და ვგრიხავ

ვკრეჭ და ვკრიჭავ

ვფშეკ და ვფშიკავ

ვცვეთ და ვცვითავ

ვსრეს და ვსრისავ და მისთ.

ხმოვანმონაცვლე ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ენ და ევ სუფიქსიანი ზმნები. ამათგან ევ კიდევ წარმოადგენს რამდენადმე თემის ნიშანს. ენ კი მთლიანად ფუძეშია გადარიცხული, ოღონდ ეკედლება ხმოვანმონაცვლე ზმნების ჯგუფს.

ხმოვანმონაცვლე ზმნების ჯგუფს განეკუთვნება ენ სუფიქსიანი ზმნებიც, როგორცაა:

ბწკენ-ა, პწკენ-ა (პპწკენს, უპწკინა)

სმენ-ა (ისმენს, ისმინა)

ბჯენ-ა (აბჯენს, აბჯინა)

ტკენ-ა (ატკენს, ატკინა)

დგენ-ა (ადგენს, დაადგინა)

ტყვრენ-ა (გამოატყვრენს,

გამოატყვრინა)

დენ-ა (ადენს, ადინა)

ფენ-ა (ჰფენს, მიჰფინა)

ვლენ-ა (ავლენს, ავლინა)

ფრენ-ა (იფრენს, იფრინა)

თმენ-ა (ითმენს, ითმინა)

ქშენ-ა (ამოიქშინა)

კბენ-ა (კბენს, უკბინა)

ლრენ-ა (ულრენს, ულრინა)

კვდენ-ა (ძვ. ქართ)

შენ-ა (უშენს, დაუშინა)

ლხენ-ა (მოილხენს, მოილხინა)

ჩენ-ა (აჩენს, გააჩინა)

რ: გან-რ-ენ-ა:განარენს-განარინა

ცდენ-ა (აცდენს, გააცდინა)

რბენ-ა (ირბენს, ირბინა)

ძენ-ა (იძენს, შეიძინა)

რქენ-ა (ურქენს, ურქინა)

ძვრენ-ა (გააძვრენს, გააძვრინა)

რჩენ-ა (არჩენს, არჩინა)

წვდენ-ა (მიაწვდენს, მიაწვდინა)

რცხვენ-ა (შეარცხვენს, შეარცხვინა)

წვენ-ა (აწვენს, აწვინა)

სტვენ-ა, შტვენ-ა

წყენ-ა (აწყენს, აწყინა)

ხდენ-ა (წაახდენს, წაახდინა) და სხვა.

ეს ენ სუფიქსი გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალს აწარმოებს: დ-ის – ა-დ-ენ-ს, ძ-ეს – შე-ს-ძ-ენ-ს, დგ-ას – ა-დგ-ენ-ს და ა.შ.

ამას გარდა, იგივე ენ მაწარმოებლად გამოჩნდება ზოგი სახელისაგან გაკეთებულ ზმნებში: რქ-ა: რქ-ენ-ა; კბ-ილ-ი: კბ-ენ-ა; სტვ-ირ-ი: სტვ-ენ-ა და სხვა.

საეჭვოა, რომ ამგვარადვე დაიშალოს ყველა ენ-სუფიქსიანი ზმნა (მათ შორის: ფენა, შენა და სხვა) (ა.შანიძე, 1973, გვ.393).

## თავი II. ერთთემიანი ზმნები ზემოიმერულში

### II.1. ზემოიმერული მეტყველების რაობისათვის

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები სამ ჯგუფად იყოფა:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები (ხევსურული, ფშაური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, თუშური).

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტები (ქართლური, კახური).

გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტები (მესხურ-ჯავახური).

იქვე განიხილავენ, ცალკე ჯგუფად გამოყოფენ აგრეთვე ინგილოურს და ფერეიდნულს, რომლებიც ისტორიულად კახურის განაყოფს წარმოადგენენ; ეს საქართველოს ტერიტორიის გარეთ მდებარე დიალექტებად იწოდება.

დასავლეთ საქართველოს დიალექტთაგან უნდა აღინიშნოს: იმერული (ზემო და ქვემო), გურული, რაჭული, აჭარული (ჯორბენაძე, 1989).

იმერული ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია. ქართლურის შემდეგ იგი ყველაზე დიდი დიალექტური ერთეულია. იმერულს გარკვეული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ტენდენციების წარმართვაში. იმერეთის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვისათვის ძირითადად ვსარგებლობთ ბ.ჯორბენაძისა და ვ.თოფურიას რადაქციით გამოცემული ლიტერატურით (ჯორბენაძე 1989; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961).

იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი, დასავლეთით – სამეგრელო (მიჯნაა მდინარე ცხენისწყალი), ჩრდილოეთით – რაჭა და ლეჩხუმი, სამხრეთით – სამცხე (მესხეთი), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ეკვრის გურია.

იმერეთი გეოგრაფიულად იყოფა ორ დიდ რეგიონად: ზემოიმერეთად და ქვემოიმერეთად. ზემოიმერეთს აღმოსავლეთით აკრავს ლიხის (სურამის) ქედი, სამხრეთით – აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით – რაჭის ქედი, დასავლეთით კი გაშლილი სივრცეა, რომელიც გადადის კოლხეთის დაბლობში. „ამ დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე მის სამხრეთით განლაგებული გორაკ-ბორცვები მოსაზღვრე მთის კალთებით უჭირავს ქვემოიმერეთს“ (ჯორბენაძე, 1989).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ზემოიმერეთია ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის (ნაწილი) მუნიციპალიტეტები; ქვემოიმერეთია სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ვანის, ბაღდადის, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტები; უკანასკნელი სამი შუაიმერეთადაც იწოდება.

იმერეთი საქართველოს იმ კუთხეთაგანია, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი აქვთ მიჩენილი საქართველოს ისტორიაში. იმერეთი „ხან საქართველოს გაერთიანების ცენტრი იყო და ქ. ქუთაისი მთლიანი სამეფოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა, ხან ნაწილობრივ შედიოდა ქართლის სამეფოში, რომლის საზღვრები არგვეთამდე (ზესტაფონის რაიონი) აღწევდა, ხან კიდევ ცალკე სამეფოდ, იმერეთის სამეფოდ იყო გამოყოფილი. იმერეთი ყოველთვის ცხოველ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურთან ერთად საქართველოს კულტურულ განვითარებაში“ (ჯორბენაძე, 1989).

ტერმინი „იმერეთი“ წარმოშობით ეთნიკური სახელი არ არის. „იმერეთად“ მთელი ლიხსიქეთი იგულისხმებოდა, „იმერლებად“ – დასავლეთ საქართველოს ყველა მცხოვრები, მაგრამ შემდგომ „იმერეთი“ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელწოდებად ჩამოყალიბდა, „იმერელი“ – ეთნიკურ სახელად.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „იმერეთი“ ძველი, ფართო მნიშვნელობით გამოიყენება – გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს:

„ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი... (ეწოდა) ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჭამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შვერთებისათვის, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა“. შემდეგ ვახუშტი ეხება საკუთრივ იმერეთს, რომელსაც „ამ ჟამად... უწოდებენ ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე... და განიყოფის ესე იმერეთი: ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგუეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად“ (ჯორბენაძე, 1989, გვ.445-446). რაჭა-ლეჩხუმის გამოკლებით, ვახუშტის თხზულებაში აღწერილი ტერიტორია არსებითად წარმოადგენს კიდევ საკუთრივ იმერეთს.

იმერეთში ძირითადად წმინდა ქართული მოსახლეობაა. აბსოლუტური უმეტესობა საკუთრივ იმერლები არიან. სახლობენ აგრეთვე სამცხე-ჯავახეთიდან ადრევე გადმოსული კათოლიკე ქართველები (ქუთაისსა და მის მიდამოებში), რაჭველები (რომელთაც ჯერ კიდევ დაცული აქვთ რაჭული კილოს ზოგი თავისებურება), გურულები და მეგრელები (რომელთა სამეტყველო დიალექტი ამჟამად იმერულია). იმერეთში მცირე ჯგუფებად გვხვდება სომხები (დაბა ჩხარში) და ებრაელები (ჯორბენაძე, 1989, გვ.446).

იმერულში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ კილოკავს: ზემოიმერულს და ქვემოიმერულს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმერულის სამ კილოკავად – ზემო-, ქვემო- და შუაიმერულად – დაყოფის შესახებ.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემოიმერული საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგოულის რაიონთა მოსახლეობის მეტყველებაა. ქვემოიმერული წარმოადგენს ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის და წყალტუბოს რაიონების მოსახლეობის მეტყველებას, ხოლო შუაიმერული გავრცელებულია ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდადის და ტყიბულის რაიონებში. ეს კლასიფიკაციაც არაა საყოველთაოდ გაზიარებული, რადგანაც შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულდა გამოყოფა მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი თავისი თავისებურებებით ისევე დაუპირისპირდებოდა ზემო- და ქვემოიმერულს,

როგორც ეს უკანასკნელები უპირისპირდებიან ერთმანეთს (მარტიროსოვი, 1972). ამრიგად ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს მხოლოდ ზემოიმერულს (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი) და ქვემოიმერულს (თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი//ბაღდადი, ვანი, წყალტუბო, სამტრედია, ხონი). მათ შორის ხშირად ისეთი სხვაობა იჩენს თავს, რომ შესაძლებლად მიაჩნიათ ორი დამოუკიდებელი (ზემოიმერული და ქვემოიმერული) დიალექტის გამოყოფა (კუბლაშვილი, 1985).

განსხვავება ზემო- და ქვემოიმერულ კილოკავთა შორის შეინიშნება როგორც ინტონაციაში, ისე მორფოლოგიასა და განსაკუთრებით ლექსიკაში. მორფოლოგიურ მოვლენათაგან საყურადღებოა: სახელთა ბრუნების თავისებურება, ხარისხისა და სადაურობის სახელთა წარმოქმნა, ზმნის დრო-კილოთა წარმოება-გამოყენება, -ყე ნაწილაკის ხმარება და სხვა. თვით კილოკავთა შიგნითაც შეიმჩნევა მეტ-ნაკლები სხვაობა. ეს კილოკაური დიფერენციაცია შეპირობებულია როგორც ამ კილოკავების მატარებელთა ისტორიული წარსულით, ისე სხვაობათა გავრცელების გეოგრაფიული ვითარებით (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, გვ.436).

იმერულის კილოკავები რამდენიმე თქმას აერთიანებენ.

ზემოიმერულში, მაგალითად, ზოგი ნიშნით სხვაობს ხარაგაულური, საჩხერე-ჭიათურული და ზესტაფონური თქმები. ქვემოიმერულში მეტ-ნაკლები სხვადასხვაობა ახასიათებს თერჯოლურ, ოკრიბულ, ბაღდათურ, აგრეთვე ვანურ, სამტრედიულ და ხონურ თქმებს.

თქმებში შეიძლება გამოიყოს ქცევები. მაგალითად, ვანურ თქმაში გამოყოფენ უხუთურ ქცევას, თერჯოლურში ჩხარულ ქცევას და მისთ. (ჯორბენაძე, 1989, გვ. 446-447).

იმერული, ქართული ენის ეს მნიშვნელოვანი დიალექტი, არა ერთ და ორ მკვლევარს გაუხდია თავისი კვლევა-ძიების ობიექტად.

1920 წელს პრეფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით ა. შანიძეს შენიშნული აქვს, რომ იმერულ კილოში უღვლილების წესი პრეფიქსების ხმარების მხრივ არსებითად იგივეა, რაც გურულში. მხოლოდ ზემო იმერეთის ზოგიერთ კუთხეში, როგორც ჩანს,



ჯერ-ჯერობით კიდევ უნდა იყოს დაცული მოთხრობითისა და ბრძანებითის ფორმალური განსხვავება თავისებურ მო-ვიდა ზმნაში (მარტიროსოვი, 1972, გვ.92).

მთლიანი სახით იმერული შესწავლილი იყო ვლ. ფანჩვიძის მიერ 1937 წელს სადისერტაციო ნაშრომში, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ნაშრომი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

იმერულის შესწავლაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ქ. ძოწენიძეს. მან სოფელ-სოფელ შეისწავლა იმერულის ყველა კილოკავი და დაწერა საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლის დაბეჭდვას, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო უდროოდ გარდაცვალების გამო (იქვე, გვ.95).

ქ. ძოწენიძეს სრულყოფილად ჰქონდა შესწავლილი ზემოიმერული. 1952 წელს დაიბეჭდა მისი ნაშრომი: „ზემოიმერული კილოკავი“, რომელიც ამ მეტყველების თავისებურებათა სისტემატური ანალიზის პირველი ცდაა. იგი ემყარება ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში თვით ავტორის მიერ შეკრებილ მასალებს. ამ მასალების ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ ზემოიმერულში დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივ ენობრივ მონაცემებთან ერთად გვხვდება რიგი მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები, რომლებიც მას განსაკუთრებით აახლოვებს აღმოსავლურ ბარის კილოებთან. მაგრამ არის მთელი რიგი მორფოლოგიური თავისებურებანი, რომელიც ზემოიმერულს გამოჰყოფს ქვემოიმერულისაგან და ქართული ენის კილო-თქმათა შორის თავის ადგილს განუკუთვნებს.

ზემოიმერული ქ. ძოწენიძის კვლავ დაკვირვების საგნად იქცა 1961 წელს. მან გამოაქვეყნა ახალი ნაშრომი: „ზემოიმერული კილოკავი (ჭიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველების მიხედვით)“ (მარტიროსოვი 1972). ეს ნარკვევი ემყარება თვით ავტორის მიერ შეკრებილ მასალებს ჭიათურის რაიონის სოფლებში – მორძგვეთში, საკურწეში, რგანში, ხვაშითში, ზედაჭალოვანში, შუქრუთში, სვერში, მანდაეთში, წყალშავში, ბერეთისასა და გეზრულში. დასახელებულ სოფელთა მეტყველება, ავტორის დასკვნით, ძირითადად ხასიათდება ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებებით (იქვე).

იმერულის სრული დიალექტური ლექსიკონი დღემდე ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება, მაგრამ გამოქვეყნებულია რამდენიმე საყურადღებო ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ბ. წერეთლის „ზემოიმერული ლექსიკონი“. მასალა ავტორის მიერ შეკრებილია უმთავრესად ჭიათურა-საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში. სიტყვები ჩაწერილია მოსახლეობის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორცაა სამშენებლო საქმე, მეჭურჭლეობა, მეაგურეობა, სოფლის მეურნეობა (ხვნა-თესვა, მევენახეობა, მებოსტნეობა), ჭრა-კერვა და სხვა საოჯახო საქმიანობა (მარტიროსოვი, 1972, გვ.101).

პ. ჯაჯანიძის წერილში: „მასალები იმერულის ლექსიკონისათვის“ (მარტიროსოვი, 1972) წარმოდგენილია უმთავრესად ისეთი სიტყვები, რომლებიც ან სრულიად არ გვხვდება ლექსიკონებში, ან განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება.

იმერული ლექსიკონის ნიმუშები დახასიათებულია ივ. ქავთარაძის ნაშრომში – „მასალები იმერული ლექსიკონისათვის“ (იქვე). მასალა მოპოვებულია ავტორის მიერ იმერეთის სოფლებში. გარდა ამისა, ლექსიკონში შესულია რამდენიმე სიტყვა, ამოღებული იმერული ისტორიული დოკუმენტებიდან.

## II.2. ერთთემიანი ზმნები ზემოიმერულში

ჩვენი სამაგისტრო შრომის თემა არის უთემისნიშნო ზმნები ზემოიმერულში. თემის დამუშავებისას გამოვიყენე ზემოიმერული კილოკავის გამოქვეყნებული ტექსტები (ძოწენიძე 1973; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961). გარდა ამისა მოვიარე ზემოიმერეთის რამდენიმე სოფელი (კაცხი, ღვითორი, ქვაცხე, ხრეთი) და ინფორმატორებისაგან მივიღე თემისთვის საჭირო ინფორმაცია. ჩაკითხვის წესით ვარკვევდი ჩემთვის საჭირო ფორმათა არსებობის საკითხს. როგორც ირკვევა

ზემოიმერეთში ისტორიული ერთეუმიანი ზმნებიდან ერთი ნაწილი კვლავ დარჩა ერთეუმიანად:

აწმყო:

მევი-ყვან

მევი-ტან

ვს-თხოვ

ვი-მღერ (ვმღერი)

ვჰ-ფხან

ვი-ხმარ

ვი-ხვეჭ

ვს-წოვ

ვ-ქსოვ

ვ-ხვეტ

ვ-რეცხ

ვი-ბან

ვ-თეს

ვი-ქმ

ვ-ძოვ

ვ-წერ

ვ-ჭამ

ვ-ხერ (ვაპობ)

მეორე ნაწილმა და ზოგმა უკვე დასახელებულმა ზმნამაც განივითარეს -ავ თემის  
ნიშანი

ვ-ბერტყ-ავ

ვი-ხვეჭ-ავ

ვი-კვეთ-ავ

ვი-კვიც-ავ

ვი-პენტ-ავ

ვი-რაცხ-ავ

ვი-რეცხ-ავ

ვი-ხეთქ-ავ

ვი-ხვეტ-ავ

ვი-ტეხ-ავ

ვი-თეს-ავ

ვი-თელ-ავ

ვი-თიბ-ავ

ვი-ლეს-ავ

ვი-ლეწ-ავ

ვი-რეკ-ავ

ვი-ღებ-ავ

ვი-ღობ-ავ

ვი-წერ-ავ

ვ-ჭედ-ავ

ვ-ხოც-ავ

ვ-ხეხ-ავ

ვ-ჩეხ-ავ

ვ-ჩეჩ-ავ

ვ-ქექ-ავ

ვ-ნაყ-ავ

ვ-პეც-ავ

ჩამოთვლილი ზმნები სალიტერატურო ქართულშიც ასე გვხვდება, მაგრამ ზემოიშვებულში მათ აქვთ პარალელური -ამ თემისნიშნის ვარიანტებიც:

ვ-ბერტყ-ამ

ვ-პენტ-ამ

ვ-რაცხ-ამ

ვ-რეცხ-ამ

ვ-ტეხ-ამ

ვ-ხეთქ-ამ

ვ-ხვეტ-ამ

ვ-ხოც-ამ

ვ-ჭედ-ამ

ვ-წერ-ამ

ვ-ჩეხ-ამ

ვ-ძახ-ამ

ვ-ღობ-ამ

ვ-ღებ-ამ

ვ-ქექ-ამ

ვ-რეკ-ამ

ვლეს-ამ

ვ-თიბ-ამ

ვ-თეს-ამ

ამგვარად, ისტორიულ ერთთემიან ზმნათაგან ერთი ნაწილი დარჩა ერთთემიანად, მეორე ნაწილი გახდა ორთემიანი – დაირთო -ავ თემის ნიშანი. ამათგან უმეტესობამ გაიჩინა პარალელური ვარიანტი -ამ თემისნიშნებისა.

წარმოვადგენთ ცხრილის სახით, რა ვითარებაა ერთთემიან ზმნებში ზემოიმერულში; ანუ რა ვარიანტები გვაქვს ისტორიულ ერთთემიან ზმნებში.

არიან ერთთემიანები	-ავ თემისნიშნიანები	-ამ თემისნიშნიანები
--------------------	---------------------	---------------------

ვი-ბან		
	ვ-ბერტყ-ავ	ვ-ბერტყ-ამ
ვ-თეს	ვ-თეს-ავ	ვ-თეს-ამ
	ვ-თელ-ავ	
	ვ-თიბ-ავ	ვ-თიბ-ამ
ვ-სთხოვ		
	ვ-პეც-ავ	
	ვ-პვეთ-ავ	
	ვ-პვეც-ავ	

	ვ-ლეს-ავ	ვ-ლეს-ამ
	ვ-ლექ-ავ	
ვი-მღერ (ვმღერი)		
	ვ-ნაყ-ავ	
	ვ-პენტ-ავ	ვ-პენტ-ამ
	ვ-რაცხ-ავ	ვ-რაცხ-ამ
	ვ-რეკ-ავ	ვ-რეკ-ამ
ვ-რეცხ	ვ-რეცხ-ავ	ვ-რეცხ-ამ
მევი-ტან		
	ვ-ტეხ-ავ	ვ-ტეხ-ამ
	ვ-ქექ-ავ	ვ-ქექ-ამ
ვესოვ		
	ვ-ღებ-ავ	ვ-ღებ-ამ
	ვ-ღობ-ავ	ვ-ღობ-ამ
მევი-ყვან		
	ვ-ჩეჩ-ავ	
	ვ-ჩეხ-ავ	ვ-ჩეხ-ამ
		ვ-ძახ-ამ
ვჰ-ფხან		
ვ-ძოვ		
ვ-წერ	ვ-წერ-ავ	ვ-წერ-ამ
ვ-წოვ		
ვ-ჭამ		
	ვ-ჭედ-ავ	ვ-ჭედ-ამ
	ვ-ხეთქ-ავ	ვ-ხეთქ-ამ
	ვ-ხეხ-ავ	
ვ-ხვეტ	ვ-ხვეტ-ავ	ვ-ხვეტ-ამ
ვ-იხვეჭ	ვ-იხვეჭ-ავ	

ვ-ხერ		
ვი-ხმარ		
	ვ-ხოც-ავ	ვ-ხოც-ამ
ვი-ქმ		

შევიშნავთ: ეს არის ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით შედგენილი ცხრილი. არ გამოვრიცხავთ, რომ პარალელურად არსებობდეს სხვა ვარიანტიც, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს დავადასტურეთ.

საინტერესო თავისებურებას ავლენს ზემოთქცულში ყვან და ხმარ ზმნები. ისინი -ებ თემის ნიშანს დაირთავენ მხოლოდ სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში:

მევი-ყვან

მევი-ყვან-თ

მეი-ყვან

მეი-ყვან-თ

მეი-ყვან-ს

მეი-ყვან-ებ-ენ

მევი-ხმარ

მევი-ხმარ-თ

მეი-ხმარ

მეი-ხმარ-თ

მეი-ხმარ-ს

მეი-ხმარ-ებ-ენ

ამ ზმნათაგან მხოლოდ ერთ ზმნას (ვი-ხმარ) დაერთო განსხვავებული თემის ნიშანი -ობ: ვ-ხმარ-ობ.



### II.3. ფუბედრეკადი ზმნები ზემოიმერულში

ზემოიმერულში ფუბედრეკად ზმნათა უმრავლესობას დაერთო -ავ თემის ნიშანი:

ვ-იფშვნიტ-ავ

ვ-ჩხვლიტ-ავ

ვ-დღვიბ-ავ

ვ-თვლიმ-ავ

ვ-თქვიფ-ავ

ვ-კვნიტ-ავ

ვ-კმინდ-ავ

ვ-ღმინჭ-ავ

ვ-ტყლიშ-ავ

ვ-ფხლიწ-ავ

ვ-ჭყლიტ-ავ

ვ-ჩხრიკ-ავ

ვ-წმინდ-ავ

ვ-ხვრიპ-ავ

ვ-ხვრიტ-ავ

ვ-გლიჯ-ავ

ვ-ბზიკ-ავ

ვ-ბრიქ-ავ

ვ-გრიხ-ავ

ვ-დრიკ-ავ

ვ-კრიზ-ავ

ვ-კრიფ-ავ

ვ-კრიჭ-ავ

ვ-ლლიტ-ავ

ვ-დრიც-ავ

ვ-ჟლიტ-ავ

ვ-სრის-ავ

ვ-სხიპ-ავ

ვ-ტკიც-ავ

ვ-ტყიპ-ავ

ვ-ფხიკ-ავ

ვ-ფშიკ-ავ

ვ-ხლიჩ-ავ

ვ-ზილ-ავ

ჩამოთვლილ ფუძედრეკად  
დავადასტურეთ -ამ თემის ნიშანი:

რამდენიმე

ზმნასთან

პარალელურად

ვ-იფშენიტ-ამ

ვ-გლიჯ-ამ

ვ-გრიხ-ამ

ვ-კრიფ-ამ

ვ-კრიჭ-ამ

ვ-ღრიც-ამ

ვ-ჟლიტ-ამ

ვ-ტკიც-ამ

ვ-ტყიპ-ამ

ვ-ფხიკ-ამ

ხმოვანმონაცვლე ზმნა დღლეზ-ა შეგვხვდა მხოლოდ -ამ თემის ნიშნით: ვ-დღლიზ-ამ.

ზემოიმერულში დასტურდება არაერთი შემთხვევა, როცა წარმოშობით ფუძედრეკადი ზმნები ასევე ფუძედრეკადაა დარჩენილი; ანუ გვხვდება თემის ნიშნის გარეშე: ვ-უჭვრეტ, ვ-უმზერ, ვ-უმხელ, ვ-უცქერ, ვ-იჭერ... სხვაც შეიძლება დავასახელოთ. ხშირ შემთხვევაში ეს გამოწვეული უნდა იყოს სალიტერატურო ენის გავლენით. წიგნიერების მაღალი დონე, განათლება, მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა გავლენა არღვევს დიალექტურ ნორმას. არადა დიალექტური ნორმა ჩანს II სერიის თემაზე ავ//ამ თემის დართვა

გლიჯ-ავ//ამ-ს, დრიკ-ავ//ამ-ს...

არაიშვიათია შემთხვევა თემის ნიშნის I სერიის თემაზე დართვისა:

გრეხ-ავ/ამ-ს, დრეკ-ავ/-ამ-ს, კრეფ-ავ/-ამ-ს, ჟლეტ-ავ/-ამ-ს და სხვა.

## II.4. უწყვეტლის წარმოება უთემისნიშნო ზმნებში

უთემისნიშნო ზმნებში საინტერესოა უწყვეტლის წარმოების შემთხვევები. ამ მწკრივის წარმოება ზემოიმერულში არ არის ერთგვაროვანი. გვაქვს პარალელური ვარიანტები. ძირითადად უთემისნიშნო ზმნები აწმყოს ფუძეს გამოიყენებენ უწყვეტლის წარმოებაში (წერს-წერდა), მაგრამ იმ ზმნებთან, რომელთაც განივითარეს თემის ნიშანი, უწყვეტელში გვაქვს პარალელიზმი. თუ აწმყოში -ავ თემის ნიშანს დაირთავს, უწყვეტელშიც -ავ თემის ნიშანს დაირთავს – უმეტეს შემთხვევაში:

აწმყო		უწყვეტელი	
ვ-თეს-ავ	ვ-თეს-ავ-თ	ვ-თეს-ავ-დ-ი	ვ-თეს-ავ-დ-ი-თ
თეს-ავ	თეს-ავ-თ	თეს-ავ-დ-ი	თეს-ავ-დ-ი-თ
თეს-ავ-ს	თეს-ავ-ენ	თეს-ავ-დ-ა	თეს-ავ-დ-ნენ
ვ-თიბ-ავ	ვ-თიბ-ავ-თ	ვ-თიბ-ავ-დ-ი	ვ-თიბ-ავ-დ-ი-თ
თიბ-ავ	თიბ-ავ-თ	თიბ-ავ-დ-ი	თიბ-ავ-დ-ი-თ
თიბ-ავ-ს	თიბ-ავ-ენ	თიბ-ავ-დ-ა	თიბ-ავ-დ-ნენ
ვ-რეცხ-ავ	ვ-რეცხ-ავ-თ	ვ-რეცხ-ავ-დ-ი	ვ-რეცხ-ავ-დ-ი-თ
რეცხ-ავ	რეცხ-ავ-თ	რეცხ-ავ-დ-ი	რეცხ-ავ-დ-ი-თ
რეცხ-ავ-ს	რეცხ-ავ-ენ	რეცხ-ავ-დ-ა	რეცხ-ავ-დ-ნენ
ვ-ზილ-ავ	ვ-ზილ-ავ-თ	ვ-ზილ-ავ-დ-ი-თ	ვ-ზილ-ავ-დ-ი-თ

ზილ-ავ	ზილ-ავ-თ	ზილ-ავ-დ-ი	ზილ-ავ-დ-ი-თ
ზილ-ავ-ს	ზილ-ავ-ენ	ზილ-ავ-დ-ა	ზილ-ავ-დ-ნენ

და მისთ.

ვფიქრობთ, ეს არ არის „ზემოიმერული ნორმა“; აქ უფრო სალიტერატურო ენის გავლენა ჩანს. ასე, რომ ამ მხრივ სალიტერატუროს ნორმები ზემოიმერულისთვის იქცა ბუნებრივ ფორმებად.

თუ აწმყოში უთემისნიშნო ზმნა დაირთავს -ამ თემის ნიშანს, უწყვეტელშიც -ამ თემის ნიშანი გვექნება წარმოდგენილი:

აწმყო		უწყვეტელი	
ვ-ლეს-ამ	ვ-ლეს-ამ-თ	ვ-ლეს-ამ-დ-ი	ვ-ლეს-ამ-დ-ი-თ
ლეს-ამ	ლეს-ამ-თ	ლეს-ამ-დ-ი	ლეს-ამ-დ-ი-თ
ლეს-ამ-ს	ლეს-ამ-ენ	ლეს-ამ-დ-ა	ლეს-ამ-დ-ნენ
ვ-რეკ-ამ	ვ-რეკ-ამ-თ	ვ-რეკ-ამ-დ-ი	ვ-რეკ-ამ-დ-ი-თ
რეკ-ამ	რეკ-ამ-თ	რეკ-ამ-დ-ი	რეკ-ამ-დ-ი-თ
რეკ-ამ-ს	რეკ-ამ-ენ	რეკ-ამ-დ-ა	რეკ-ამ-დ-ნენ
ვ-კრიჭ-ამ	ვ-კრიჭ-ამ-თ	ვ-კრიჭ-ამ-დ-ი	ვ-კრიჭ-ამ-დ-ი-თ
კრიჭ-ამ	კრიჭ-ამ-თ	კრიჭ-ამ-დ-ი	კრიჭ-ამ-დ-ი-თ
კრიჭ-ამ-ს	კრიჭ-ამ-ენ	კრიჭ-ამ-დ-ა	კრიჭ-ამ-დ-ნენ
ვ-გრიხ-ამ	ვ-გრიხ-ამ-თ	ვ-გრიხ-ამ-დ-ი	გრიხ-ამ-დ-ი-თ

გრიხ-ამ	გრიხ-ამ-თ	გრიხ-ამ-დ-ი	გრიხ-ამ-დ-ი-თ
გრიხ-ამ-ს	გრიხ-ამ-ენ	გრიხ-ამ-დ-ა	გრიხ-ამ-დ-ნენ

და მისთ.

ვფიქრობთ, რომ ამგვარი ფორმათა წარმოქმნისათვის ხელი უნდა შეეწყო ზემოიმერეთის ქართლურ დიალექტთან მეზობლობას.

იმავედროულად რამდენიმე ზმნასთან გვხვდება როგორც -ავ, ისე -ამ თემის ნიშანი, ანუ: როცა გვაქვს პარალელიზმი აწმყოში, პარალელიზმი გვაქვს უწყვეტელშიც:

ვ-ბერტყ-ავ-დ-ი // ვ-ბერტყ-ამ-დ-ი

ვ-თეს-ავ-დ-ი // ვ-თეს-ამ-დ-ი

ვ-თიბ-ავ-დ-ი // ვ-თიბ-ამ-დ-ი

ვ-ლეს-ავ-დ-ი // ვ-ლეს-ამ-დ-ი

ვ-პენტ-ავ-დ-ი // ვ-პენტ-ამ-დ-ი

ვ-რეცხ-ავ-დ-ი // ვ-რეცხ-ამ-დ-ი

ვ-ტეხ-ავ-დ-ი // ვ-ტეხ-ამ-დ-ი

ვ-რეკ-ავ-დ-ი // ვ-რეკ-ამ-დ-ი

ვ-ქექ-ავ-დ-ი // ვ-ქექ-ამ-დ-ი

ვ-ღებ-ავ-დ-ი // ვ-ღებ-ამ-დ-ი

ვ-ლობ-ავ-დ-ი // ვ-ლობ-ამ-დ-ი

ვ-ჩეხ-ავ-დ-ი // ვ-ჩეხ-ამ-დ-ი

ვ-წერ-ავ-დ-ი // ვ-წერ-ამ-დ-ი

ვ-ჭედ-ავ-დ-ი // ვ-ჭედ-ამ-დ-ი

ვ-ხეთქ-ავ-დ-ი // ვ-ხეთქ-ამ-დ-ი

ვ-ხვეტ-ავ-დ-ი // ვ-ხვეტ-ამ-დ-ი

ვ-ხოც-ავ-დ-ი // ვ-ხოც-ამ-დ-ი

ვ-გლიჯ-ავ-დ-ი // ვ-გლიჯ-ამ-დ-ი

ვ-გრიხ-ავ-დ-ი // ვ-გრიხ-ამ-დ-ი

ვ-კრიფ-ავ-დ-ი // ვ-კრიფ-ამ-დ-ი

ვ-კრიჭ-ავ-დ-ი // ვ-კრიჭ-ამ-დ-ი

ვ-ღრიც-ავ-დ-ი // ვ-ღრიც-ამ-დ-ი

ვ-გრიხ-ავ-დ-ი // ვ-გრიხ-ამ-დ-ი

ვ-ჟლიტ-ავ-დ-ი // ვ-ჟლიტ-ამ-დ-ი

ვ-ტყეპ-ავ-დ-ი // ვ-ტყეპ-ამ-დ-ი

ვ-ფხიკ-ავ-დ-ი // ვ-ფხიკ-ამ-დ-ი

არის შემთხვევები, როცა დავადასტურეთ -ამ თემისნიშნიანი ვარიანტი, თუმცა ჩვენს მიერ განხილულ მასალაში არ დადასტურდა მისი პარალელური -ავ თემისნიშნიანი ვარიანტი; ანდა პარალელიზმი დადასტურდა აწმყოში, მაგრამ ვერ მოვიძიეთ პარალელური ფორმები უწყვეტელში: ვ-რაცხ-ამ-დ-ი, ვ-ძახ-ამ-დ-ი.

საინტერესოა ისიც, რომ ზემოიძვერულში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება უთემისნიშნო ზმნები თავდაპირველი სახით – ხარშ-ს, რეცხ-ს, რეკ-ს... შესაბამისად, უწყვეტელში გვექნება უთემისნიშნო ვარიანტები:

ვ-რეკ-დ-ი                      ვ-რეკ-დ-ი-თ

რეკ-დ-ი                        რეკ-დ-ი-თ

რეკ-დ-ა                        რეკ-დ-ნენ

ვ-ქექ-დ-ი            ვ-ქექ-დ-ი-თ

ქექ-დ-ი            ქექ-დ-ი-თ

ქექ-დ-ა            ქექ-დ-ნენ

ვ-წერ-დ-ი            ვ-წერ-დ-ი-თ

წერ-დ-ი            წერ-დ-ი-თ

წერ-დ-ა            წერ-დ-ნენ

ვ-ჭამ-დ-ი            ვ-ჭამ-დ-ი-თ

ჭამ-დ-ი            ჭამ-დ-ი-თ

ჭამ-დ-ა            ჭამ-დ-ნენ

ვ-ხერ-დ-ი            ვ-ხერ-დ-ი-თ

ხერ-დ-ი            ხერ-დ-ი-თ

ხერ-დ-ა            ხერ-დ-ნენ

ვ-იხვეჭ-დ-ი            ვ-იხვეჭ-დ-ი-თ

იხვეჭ-დ-ი            იხვეჭ-დ-ი-თ

იხვეჭ-დ-ა            იხვეჭ-დ-ნენ



საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არაიშვიათია შემთხვევები, როცა აწმყოში არ დასტურდება ისტორიული უთემისნიშნო ზმნა -ავ/-ამ თემის ნიშნის გარეშე (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავადასტურეთ), ხოლო უწყვეტელში ეს ზმნები უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი:

აწმყო	უწყვეტელი
ვ-ლობ-ავ/ამ	ვ-ლობ-დ-ი
ლობ-ავ/ამ	ლობ-დ-ი
ლობ-ავ/ამ-ს	ლობ-დ-ა
ვ-ლობ-ავ/ამ-თ	ვ-ლობ-დ-ით
ლობ-ავ/ამ-თ	ლობ-დ-ით
ლობ-ავ/ამ-ენ	ლობ-დ-ნენ
ვ-რეკ-ავ/ამ	ვ-რეკ-დ-ი
რეკ-ავ/ამ	რეკ-დ-ი
რეკ-ავ/ამ-ს	რეკ-დ-ა
ვ-რეკ-ავ/ამ-თ	ვ-რეკ-დ-ით
რეკ-ავ/ამ-თ	რეკ-დ-ით
რეკ-ავ/ამ-ენ	რეკ-დ-ნენ

ამ მოვლენის შესახებ მიუთითებს ბ.ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1989; იხ. აგრეთვე: გოგოლაშვილი, 2018)

ასეთივე ვითარებაა ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც; როგორც ვთქვით, აწმყოში შეიძლება გვქონდეს პარალელიზმი ვ-გრეხ-ავ/ამ // ვ-გრიხ-ავ/ამ (იშვიათად ვგრეხ ფორმაც შეგვხვდება, მაგრამ ეს სალიტერატურო ენის გავლენა უფრო ჩანს); უწყვეტელში

ასევე გვაქვს ვარიანტები: ვ-გრეხ-ავ/ამ-დ-ი // ვ-გრიხ-ავ/ამ-დ-ი; არის შემთხვევები (არცთუ იშვიათი), როცა უწყვეტელი უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი:

ვ-გლეჯ-დ-ი	ვ-უმზერ-დ-ი	ვ-უმხელ-დ-ი
გლეჯ-დ-ი	უმზერ-დ-ი	უმხელ-დ-ი
გლეჯ-დ-ა	უმზერ-დ-ა	უმხელ-დ-ა
ვ-გლეჯ-დ-ი-თ	ვ-უმზერ-დ-ი-თ	ვ-უმხელ-დ-ი-თ
გლეჯ-დ-ი-თ	უმზერ-დ-ი-თ	უმხელ-დ-ი-თ
გლეჯ-დ-ნენ	უმზერ-დ-ნენ	უმხელ-დ-ნენ

ვ-უცქერ-დ-ი	ვ-იჭერ-დ-ი	ვ-უჭვრეტ-დ-ი
უცქერ-დ-ი	იჭერ-დ-ი	უჭვრეტ-დ-ი
უცქერ-დ-ა	იჭერ-დ-ა	უჭვრეტ-დ-ა
ვ-უცქერ-დ-ი-თ	ვ-იჭერ-დ-ი-თ	ვ-უჭვრეტ-დ-ი-თ
უცქერ-დ-ი-თ	იჭერ-დ-ი-თ	უჭვრეტ-დ-ი-თ
უცქერ-დ-ნენ	იჭერ-დ-ნენ	უჭვრეტ-დ-ნენ

ზემოიმერულში გვაქვს ერთი საინტერესო თავისებურება, რაც ზოგადად ავ/ამ თემისნიშნიან ზმნებს შეეხება და შესაბამისად, იმ ისტორიულ ერთთემიან ზმნებსაც, რომელთაც აწმყოში განივითარეს ავ/ამ თემისნიშანი. უწყვეტელში თემისნიშნისეული ხმოვანი ა იცვლება ე-თი:

ვ-რეცხ-ევ-დ-ი, ვ-თეს-ევ-დ-ი, ვ-ბან-ევ-დ-ი ...

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ზემოიმერულში არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: მოგეხსენებათ, ძველ ქართულში ავ/ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმას ჰქონდა ასეთი სახე:

ვ-მალ-ევ-დ-ი                      ვ-მალ-ევ-დ-ი-თ

მალ-ევ-დ-ი                      მალ-ევ-დ-ი-თ

მალ-ევ-დ-ა                      მალ-ვ-იდ-ეს

ახალ სალიტერატურო ენაში პარადიგმა გასწორდა აწმყოს ფორმის მიხედვით, მაგრამ დიალექტთა ერთმა ნაწილმა უწყვეტელში ძველი ქართულის I-II პირის ფუძე (ევ სუფიქსიანი) ფორმა გაატარა სამივე პირში, ხოლო დიალექტთა მეორე ნაწილმა – III პირის ფუძე (-ვ-იდ დაბოლოებანი):

ვ-მალ-ევ-დ-ი                      და                      ვ-მალ-ვ-იდ-ი

მალ-ევ-დ-ი                      მალ-ვ-იდ-ი

მალ-ევ-დ-ა                      მალ-ვ-იდ-ა

ვ-მალ-ევ-დ-ი-თ                      ვ-მალ-ვ-იდ-ი-თ

მალ-ევ-დ-ი-თ                      მალ-ვ-იდ-ი-თ

მალ-ევ-დ-ენ                      მალ-ვ-იდ-ენ

ზემოიშობულში სწორედ I ვარიანტი იჩენს თავს; ეს ფორმები არაა იშვიათი; მიაჩნიათ, რომ ესაა ზემოიშობულის ერთ-ერთი საინტერესო თავისებურება (ძოწენიძე, 1973; ჯორბენაძე, 1989).

### II.5. I თურმეობითის წარმოება უთემისნიშნო ზმნებში

I თურმეობითი უმეტეს შემთხვევაში ემყარება აწმყოს. თუმცა უთემისნიშნო ზმნები, რომლებმაც აწმყოში განივითარეს ავ/ამ თემის ნიშანი, I თურმეობითი უმეტეს შემთხვევაში გვხვდება -ია დაბოლოებით:

და-მ-ი-თეს-ია	და-გვ-ი-თეს-ია
---------------	----------------

და-გ-ი-თეს-ია	და-გ-ი-თეს-ია-თ
და-უ-თეს-ია	და-უ-თეს-ია-თ

და-მ-ი-კეც-ია	და-გვ-ი-კეც-ია
და-გ-ი-კეც-ია	და-გ-ი-კეც-ია-თ
და-უ-კეც-ია	და-უ-კეც-ია-თ

გა-მ-ი-ლეს-ია	გა-გვ-ი-ლეს-ია
გა-გ-ი-ლეს-ია	გა-გ-ი-ლეს-ია-თ
გა-უ-ლეს-ია	გა-უ-ლეს-ია-თ

და-მ-ი-რეკ-ია	და-გვ-ი-რეკ-ია
და-გ-ი-რეკ-ია	და-გ-ი-რეკ-ია-თ
და-უ-რეკ-ია	და-უ-რეკ-ია-თ

შე-მ-ი-კრებ-ია	შე-გვ-ი-კრებ-ია
შე-გ-ი-კრებ-ია	შე-გ-ი-კრებ-ია-თ
შე-უ-კრებ-ია	შე-უ-კრებ-ია-თ

გა-მ-ი-მხელ-ია	გა-გვ-ი-მხელ-ია
გა-გ-ი-მხელ-ია	გა-გ-ი-მხელ-ია-თ
გა-უ-მხელ-ია	გა-უ-მხელ-ია-თ

გვხვდება აგრეთვე პარალელური ფორმებიც

და-მ-ი-გრეხ-ია//და-მ-ი-გრიხ-ია	და-გვ-ი-გრეხ-ია//და-გვ-ი-გრიხ-ია
და-გ-ი-გრეხ-ია//და-გ-ი-გრიხ-ია	და-გ-ი-გრეხ-ია-თ//და-გ-ი-გრიხ-ია-თ

და-უ-გრეხ-ია//და-უ-გრიხ-ია	და-უ-გრეხ-ია-თ//და-უ-გრიხ-ია-თ
----------------------------	--------------------------------

და-მ-ი-გლეჯ-ია//და-მ-ი-გლიჯ-ია	და-გვ-ი-გლეჯ-ია//და-გვ-ი-გლიჯ-ია
და-გ-ი-გლეჯ-ია//და-გ-ი-გლიჯ-ია	და-გ-ი-გლეჯ-ია-თ// და-გ-ი-გლიჯ-ია-თ
და-უ-გლეჯ-ია//და-უ-გლიჯ-ია	და-უ-გლეჯ-ია-თ//და-უ-გლიჯ-ია-თ

აგრეთვე: და-მ-ი-ბან-ია, და-მ-ი-ბერტყ-ია, გადა-მ-ი-კვეთ-ია, და-მ-ი-ლეწ-ია, მ-ი-მღერ-ია, და-მ-ი-ნაყ-ია, შე-მ-ი-რაცხ-ია, გა-მ-ი-რეცხ-ია, მა-მ-ი-ტან-ია, გა-მ-ი-ქექ-ია, მა-მ-ი-ქსოვ-ია, მა-მ-ი-ყვან-ია, და-მ-ი-ჩეხ-ია, და-მ-ი-ძახ-ია, გა-მ-ი-ჩეხ-ია, და-მ-ი-ბღვირ-ია, მა-მ-ი-დრიკ-ია, მა-მ-ი-ზილ-ია, გა-მ-ი-კმინდ-ია, მა-მ-ი-ღრიც-ია, გა-მ-ი-ჟლიტ-ია, გა-მ-ი-სრის-ია და მისთ.

ეს პარალელიზმი ძალიან საინტერესოა: საერთოდ I თურმეობითი ემყარება აწმყოს ფუძეს. აწმყოში როცა გვაქვს პარალელიზმი, ასევე პარალელიზმი უნდა გვქონდეს I თურმეობითშიც (აწმყო: ვგლეჯ//ვგლიჯავ – I თურმ. დამიგლეჯია//დამიგლიჯია...). თუმცა აქ ერთი თავისებურებაცაა: ი ხმოვნისანი ვარიანტი ავ თემისნიშნისანი აწმყოში; ეს თემის ნიშანი უნდა გადაყოლოდა, არსებული ნორმის მიხედვით... არ მოხდა ასე...

თუმცა სალიტერატურო ენის გავლენით, ზოგჯერ, პარალელურად გვხვდება -ავ თემის ნიშნისანი ფორმებიც, მაგრამ ძალიან იშვიათად, უმეტეს შემთხვევაში ჭარბობს -ია დაბოლოება.

და-მ-ი-რეკ-ავ-ს	და-გვ-ი-რეკ-ავ-ს
და-გ-ი-რეკ-ავ-ს	და-გ-ი-რეკ-ავ-თ
და-უ-რეკ-ავ-ს	და-უ-რეკ-ავ-თ

და-მ-ი-თეს-ავ-ს	და-გვ-ი-თეს-ავ-ს
-----------------	------------------

და-გ-ი-თეს-ავ-ს	და-გ-ი-თეს-ავ-თ
და-უ-თეს-ავ-ს	და-უ-თეს-ავ-თ

და-მ-ი-ჩეხ-ავ-ს	და-გვ-ი-ჩეხ-ავ-ს
და-გ-ი-ჩეხ-ავ-ს	და-გ-ი-ჩეხ-ავ-თ
და-უ-ჩეხ-ავ-ს	და-უ-ჩეხ-ავ-თ

გა-მ-ი-თქვლიფ-ავ-ს	გა-გვ-ი-თქვლიფ-ავ-ს
გა-გ-ი-თქვლიფ-ავ-ს	გა-გ-ი-თქვლიფ-ავ-თ
გა-უ-თქვლიფ-ავ-ს	გა-უ-თქვლიფ-ავ-თ

გა-მ-ი-სრის-ავ-ს	გა-გვ-ი-სრის-ავ-ს
გა-გ-ი-სრის-ავ-ს	გა-გ-ი-სრის-ავ-თ
გა-უ-სრის-ავ-ს	გა-უ-სრის-ავ-თ

ასე რომ, სალიტერატურო ენის გავლენამ გამოიწვია „დიალექტური ნორმის“ რღვევა, რაც საფუძველი გახდა ფორმათა საინტერესო პარალელიზმისა.

## დასკვნები

1. ჩვენთვის სარწმუნოა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ზემოიშორული მეტყველება იმერული დიალექტის კილოკავია და ქვემოიშორულთან (და ზოგის აზრით, შუაიშორულთანაც) ერთად ქმნის ქართული ენის ერთ-ერთ მსხვილ დიალექტურ ერთეულს.
2. ზემოიშორულ კილოკავში ერთთემიან ზმნათა შედგენილობისა და ფორმაწარმოების საკითხი არის ერთ-ერთი ის ფაქტორი, რაც ამ მეტყველებას თავისთავადი კილოკავის სახეს აძლევს.
3. ზემოიშორულში, ისევე როგორც დანარჩენ ქართულში, უთემისნიშნო ზმნები გაიყოფა ორ ჯგუფად: ერთთემიანები და ფუძედრეკადები (ხმოვანმონაცვლები).
4. ისტორიული ერთთემიანი ზმნების ერთი ნაწილი ზემოიშორულში ერთთემიანადვე დარჩა: ვ-სთხოვ, ვ-რეცხ, ვ-ჭამ, ვ-წოვ...
5. ისტორიული ერთთემიანების ერთმა ჯგუფმა დაირთო -ავ თემის ნიშანი და ორთემიანი გახდა: ვ-კეც-ავ, ვ-ლეწ-ავ, ვ-ნაყ-ავ, ვ-ჩეჩ-ავ...
6. -ავ თემისნიშნიანმა ზოგიერთმა ზმნამ პარალელურად განივითარა -ამ თემის ნიშანი: ვ-ლეს-ავ – ვ-ლეს-ამ, ვ-პენტ-ავ – ვ-პენტ-ამ, ვ-რეკ-ავ – ვ-რეკ-ამ, ვ-რეცხ-ავ – ვ-რეცხ-ამ...
7. არის შემთხვევები, როცა ზმნას სამი ვარიანტი აქვს: უთემისნიშნო, -ავ თემისნიშნიანი და -ამ თემისნიშნიანი: ვ-წერ – ვ-წერ-ავ – ვ-წერ-ამ; ვ-რეცხ – ვ-რეცხ-ავ – ვ-რეცხ-ამ... მსგავს შემთხვევებში ნორმატიული ვარიანტების არსებობა სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი ჩანს.
8. ფორმოზრივი თვალსაზრისით მსგავსი ვითარებაა ხმოვანმონაცვლე მარტივთემიან ზმნებშიც:
  - a. შენარჩუნებული არის უთემისნიშნო ვარიანტები: ვ-უჭვრეტ, ვ-უმზერ, ვ-უმხელ, ვ-იჭერ...
  - b. განივითარეს -ავ თემის ნიშანი: ვ-თვლიმ-ავ, ვ-დღვიბ-ავ, ვ-ზილ-ავ, ვ-გლიჯ-ავ...

c. -ავ თემის ნიშანს ჩაენაცვლა -ამ თემის ნიშანი: ვ-  
იფშენიტ-ამ, ვ-ღრიც-ამ, ვ-ფხიკ-ამ...

9. ვითარებას საინტერესოს ხდის ის, რომ ისტორიული ფუძედრეკადი ზმნები თემის ნიშნის დართვის შემთხვევაში საყრდენად იყენებენ ერთ შემთხვევაში I სერიის ე-ხმოვნიან ფუძეს: ვ-გლეჯ-ავ, ვ-გრეხ-ავ... მეორე შემთხვევაში II სერიის ი-ხმოვნიან ფუძეს: ვ-გლიჯ-ავ, ვ-გრიხ-ავ...

10. ისტორიულ უთემისნიშნო ზმნათა წარმოება თავისებურებებს ავლენს უწყვეტელშიც:

a. უმეტეს შემთხვევაში უწყვეტელი ემყარება აწმყოს ფუძეს. აქ გვაქვს ყველა ის ვარიანტი, რაც აწმყოს წარმოებაში:

- უთემისნიშნო ვარიანტი: წერ-დ-ა, ხეჩ-დ-ა, რეცხ-დ-ა...
- -ავ თემისნიშნიანი ვარიანტი: თეს-ავ-დ-ა, ზილ-ავ-დ-ა...
- -ამ თემისნიშნიანი ვარიანტი: თიბ-ამ-დ-ა, ლეს-ამ-დ-ა...

თუ არის პარალელიზმი აწმყოში, გვექნება პარალელიზმი უწყვეტელშიც: თეს-ავ-დ-ა – თეს-ამ-დ-ა; ხეთქ-ავ-დ-ა – ხეთქ-ამ-დ-ა...

b. გვაქვს თავისებური ვარიანტიც უწყვეტლის წარმოების: როცა აწმყო არის თემისნიშნიანი, ხოლო უწყვეტელი უთემისნიშნო: ვ-ქექ-ავ – ვ-ქექ-დ-ი; ვ-რეკ-ავ – ვ-რეკ-დ-ი...

c. არაიშვიათია შემთხვევა, როცა უწყვეტლის პარადიგმაში თემის ნიშნის ხმოვანი ე ვარიანტითაა წარმოდგენილი: ვ-თეს-ავ / ვ-თეს-ევ-დ-ი...

ვფიქრობთ, აქ -ავ თემისნიშნიან ზმნათა არქაული წარმოების კვალი ჩანს.



ამ შემთხვევაში ყველა ტიპის უთემისნიშნო ზმნათა (ერთთემიანების და ფუძედრეკადების) ჩვენება ერთგვარია.

11. ისტორიულ ერთთემიან ზმნათა აწმყოს ფორმათა წარმოების თავისებურებები არის განმსაზღვრელი იმისა, რომ თავისებური ვარიანტები გვაქვს I თურმეობითშიც:

a. I თურმეობითი უთემისნიშნოა: და-უ-თეს-ია, გა-უ-ლეს-ია, შე-უ-კრებ-ია, გა-უ-მხელ-ია...

b. I თურმეობითი თემისნიშნიანია: და-უ-რეკ-ავ-ს, და-უ-ჩებ-ავ-ს, გა-უ-სრის-ავ-ს... მიგვაჩნია, რომ ეს ვარიანტი სალიტერატურო ენის გავლენა უნდა იყოს.

c. ხმოვანმონაცვლე ზმნებში პარალელიზმებს ქმნის ე/ი ხმოვანთ-მონაცვლეობა: და-უ-გრეხ-ია//და-უ-გრიხ-ია, და-უ-გლეჯ-ია//და-უ-გლიჯ-ია. ამის მიზეზი ჩანს ის, რომ აწმყოში არის პარალელიზმი (გრეხავს//გრიხავს), თუმცა უნიფიკაციის ტენდენციის გავლენით, თემის ნიშანი I თურმეობითში არ გადაჰყვება და გვაქვს დაუგრეხია//დაუგრიხია ტიპის პარალელიზმები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე, 1980 – მ. ბერიძე, თემის ნიშნები მესხურში:ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.
2. გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 – ი. გიგინეიშვილი ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I ტ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1961.
3. გოგოლაშვილი, არაბული, 2016 – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული ახალი ქართული ენა, II ტ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
4. გოგოლაშვილი, 2018 – გ. გოგოლაშვილი ისტორიულ ერთთემიან ზმნათა ფორმაწარმოების თავისებურებათა შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოება, თბილისი, 2018.
5. გოგოლაშვილი, 2010 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.
6. გოგოლაშვილი, შარაშენიძე, ცოცანიძე, ჭუმბურიძე, 2016 – გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II ტ., გამომცემლობა „პოლიგრაფი“, თბილისი, 2016.
7. თოფურია, გიგინეიშვილი, 1968 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1968.
8. კიზირია, 1984 – ა. კიზირია, ქართული ენის პრაქტიკუმი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1984.

9. კუბლაშვილი, 1985 – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1985.
10. მარტიროსოვი, 1972 – არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972.
11. ქართული ენა, 2008 – ქართული ენა (ენციკლოპედია), გამომცემლობა „ქართული ენციკლოპედია“, თბილისი, 2008.
12. ქეგლ VII, 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII ტ., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1962.
13. შანიძე, 1930 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1930.
14. შანიძე, 1948 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა და მორფოლოგია, სახელმძღვანელო V და VI კლასებისათვის, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1948.
15. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I ტ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.
16. შანიძე, 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1976.
17. ჩიქობავა, 1962 – არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე, XIII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1962.
18. ძიძიგური, 1956 – შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სახელგამი, თბილისი, 1956.
19. ძოწენიძე, 1973 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.
20. ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I ტ., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.
21. ჯორბენაძე, 1980 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980.